# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 20 მარტი 2002 №47 (1569) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარდიოლოგია 2:0 სტრიპტიზი

## ბარსელონამ თურქები ჩაბოლოვა





აბელარდო და პატრიკ კლუივერტი მეოთხედფინალში გავიდნენ, „გალათასარაი“ კი ჯგუფში დარჩა



ქერარ ულიეს ფაბიო კაპელომ გამარჯვება და გამოჯანმრთელება მიულოცა

თქვენ ლიგა მოიგეთ და გავიხდიო, დაპირდა ცნობილი იტალიელი ტელევარსკვლავი საბრინა ფერილი ფაბიო კაპელოს რომაელებს და, ვინძლო, ამ მაცდუნებელი სიტყვის მერე ბევრს „რომას“ საქომაგოდ შეუტოკდა გული. ლივერპულელები კი ნაინფარქტალი მწვრთნელის ჟერარ ულიეს გულს გამოცდილი კარდიოლოგებივით დაჰკანკალებენ და უებარ წამლად „რომას“ დამარცხება და ლიგის მეოთხედფინალში გასვლა გამოუწერიათ, მით უფრო, გუშინ „ენფილდს“ ნაავადმყოფარი ულიე პირველად ეწვია.

იარი ლიტმანენმა და ემილ ჰესკიმ ფრანგ მწვრთნელს ჩინებულად უწამლეს — სტუმრებს ორი გოლი უთავაზეს და „ლივერპული“ შვიდქულიან „რომას“ გაუტოლეს. გუშინვე, სტამბოლის „ალი სამი იენიზე“ ურივალდო „ბარსელონამ“ ლუის ენრიკეს კინკილა, მაგრამ სამქულიანი გოლით B ჯგუფში პირველობა არავის დაანება. „ლივერპულისა“ და „რომას“ 7-7 ქულაში კი მეოთხედფინალური ბრიტანელების გამოდგა — ურთიერთშეხვედრებში ინგლისელებმა დაჩაგრეს იტალიელები.

თავში ნათქვამს დავუბრუნდეთ. საბრინა ფერილის გაშიშვლებამდე არაფერი გეტკინოთ და ლივერპულელები ულიეს გულს გუშინდელივით თუ გაუფრთხილდნენ, ვინძლო, ჩემპიონთა ლიგაც მოიგონ.

# ელკიაერს მიბარებული საქართველო ლაუდრუპმა გერმანიას გადააბარა





კობა ჟორჟიკაშვილს და მის გუნდს დანიაში გერმანია, პოლონეთი და უნგრეთი გამოცდიან

სანამ საქართველოს ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ხილვის მოლოდინმა თვალები და ნერვები დაგვაწყვიტა, 17-წლამდელებმა ეს საქმე უკვე მოახერხეს. მათ შარშან თბილისში აჯობეს ბოსნიელებს და ებრაელებს, ამიტომ დაიმკვეს ადგილი 16 საუკეთესო გუნდში, რომლებიც ევროპის ჩემპიონის ტიტულს 27 აპრილიდან დანიაში შეეცილებიან ერთმანეთს.

კენჭისყრა გუშინ მოეწყო დანიისავე დედაქალაქ კოპენჰაგენში. ბურთულებს უეფას ახალგაზრდული და სამოყვარულო კომიტეტის თავმჯდომარე პატ კიგლი და დიდებული მიქაელ ლაუდრუპი ათამაშებდნენ, ხოლო დარბაზში იყო დანიის ფეხბურთის მეორე ლეგენდა, პრებენ ელკიაერ ლარსენი, რომელიც კენჭისყრის ცერემონიალზე საპატიო სტუმრად კი არა, საზოგადოებრივი დატვირთვით ალჭურვილი მივიდა. კერძოდ: რადგან ცერემონიალზე მისახვედრი ბანალური მიზეზის გამო, ქართველი წარმომადგენლის გაგზავნა ვერ მოხერხდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ელკიაერს სთხოვა ჩვენი წარმომადგენლობა ეკისრა. დიდი ფეხბურთელის მეთვალყურეობით დადგინდა, რომ საქართველოს ნაკრები D ჯგუფში მოხვდა. კობა ჟორჟიკაშვილის ბატალიონს გერმანიასთან, პოლონეთთან და უნგრეთთან ბრძოლა მოუწევს, რომელთაგან პირველ ორს ყველა ჯგუფის თითქმის უპირობო ფავორიტებად მიიჩნევს.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**ბაიერნი 2:1 ნანტი**

0:1 აჰამადა (54), 1:1 იერემისი (58), 2:1 პიზარო (87)
პიზარომ ვერ გაიტანა პენალტი (72, მეკარე)
ბაიერნი: კანი, კუფური, ლინკე, ტარნატი, ჰარგრიესი, ფინკე, იერემისი, ეფენბერგი (სალიჰამიჯიჩი 46), სერჯიო (ფიულნერი 85), პიზარო, სანტა კრუზი (ციკლერი 72)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ნანტი: გრონდინი, დეროფი, ჟოლე, სეტო, ატება (ლასპალი 63), რუბილი, პაილერე, არმანი, დევინო (ბერსონი 79), ტულალანი, აჰამადა (ნზიგუ 63)
მწვრთნელი: ანხელ მარკოსი
გაფრთხილება: არმანი, ტულალანი
მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
23 000 მაყურებელი

**ბოავიშტა 0:3 მანჩესტერი**

0:1 ბლანი (14), 0:2 სოლსკიაერი (29), 0:3 ბექემი (50პ)
ბოავიშტა: რიკარდუ, ნუნუ ფრეშუ, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, სანჩესი, მარიუ, პეტი, ჟორჟე სილვა (მარტელინიუ 33), დუდა, სერჟინიუ, ელპიდიუ სილვა (ალეშანდრე 20; მარსიუ სანტუში 57)
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი (ოში 72), იონსენი (ფ. ნევილი 72), სილვესტრი, ბექემი, ბატი, სქოულზი (სტიუარტი 57), გიგზი, სოლსკიაერი, ფორლანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მარტელინიუ, პედრუ ემანუელი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
10 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 3 | 3 | 0 | 13:3 | 12 |
| ბაიერნი | 6 | 3 | 3 | 0 | 5:2 | 12 |
| ბოავიშტა | 6 | 1 | 2 | 3 | 2:8 | 5 |
| ნანტი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | 2 |

„მანჩესტერი" და „ბაიერნი" გავიდნენ მეოთხედფინალში

### B ჯგუფი

**ლივერპული 2:0 რომა**

1:0 ლიტმანენი (7პ), 2:0 ჰესკი (64)
ლივერპული: დუდეკი, ზავიერი, ჰიიპია, ანში, კარაგერი, შმიცერი (მაკალისტერი 90), მერფი, რიისე, ჯერარდი, ჰესკი, ლიტმანენი (ბისკანი 88)
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
რომა: ანტონიოლი, ალდაირი, სამუელი, კანდელა, პანუჩი, ასუნსაო (კასანო 69), ფ. ლიმა (მონტელა 46), ტომაზი, ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა (დელვეკიო 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტომაზი, ზავიერი, სამუელი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
41 794 მაყურებელი

**გალათასარაი 0:1 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (58)
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთი, ემრე, პერესი (კაპონე 79), აიჰანი (ნიკულესკუ 62), ფლურკინი, ერგუნი, გიოქთანი, არიფი (სუათი 74), ჰასან შაში, უმით კარანი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, აბელარდო, კრისტენვალი, კოკო, გაბრი, ხავი, როჩემბაკი, ლუის ენრიკე (რაიციგერი 89), კლუივერტი, ოვერმარსი (მოტა 84)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, ბონანო, ნიკულესკუ
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
22 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| ლივერპული | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 7 |
| რომა | 6 | 1 | 4 | 1 | 6:5 | 7 |
| გალათასარაი | 6 | 0 | 5 | 1 | 5:6 | 5 |

„ბარსელონა" და „ლივერპული" გავიდნენ მეოთხედფინალში



REUTERS

ბოავიშტა — მანჩესტერი. პორტუგალიელმა დუდა ვენტურამ (მარცხნივ) და მიკაელ სილვესტრიმ ბურთი დაკარგეს



REUTERS

ლივერპული — რომა. დამიანო ტომაზიმ (მარცხნივ) იონ არნე რიისეს დარტყმაში ხელი ვერ შეუშალა



REUTERS

ბაიერნი — ნანტი. „ბაიერნის" გამარჯვებისა კლაუდიო პიზარომ (მარცხნივ) შეაგდო



REUTERS

გალათასარაი — ბარსელონა. თურქთა ფრანგი სებასტიან პერესი მარკ ოვერმარსს მარტო არ ტოვებდა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXXIII ტური**

მაზერველი 0:4 სელტიკი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

როსი 0:0 ინვერნესი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ალოა 2:2 სტრანრარი
მორტონი — ფორფარი გადაიდო
სტენჰაუზმური 0:3 ჰამილტონი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ელგინი 0:3 პიტერჰედი
ქუინზ პარკი 0:2 დამბარტონი
სტირლინგი 1:3 ბრეჩინი

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

სტრასბური — ისტრი გადაიდო

## პოლონეთი

**პლეი ოფი. VI ტური**

პოლონია 1:0 ამიკა
ვისლა 1:1 კატოვიცე

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩები**

ესენი 1:1 ლევერკუზენი (მ)
კილი — იურდინგენი გადაიდო

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ნორვიჩი 2:1 ჯილინგემი
შეფილდ იუნაიტედი 3:2 მილუოლი
სტოკპორტი 2:1 მანჩესტერ სიტი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ბლეკპული 1:3 ბრენტფორდი
ბორნმუთი 2:2 კემბრიჯი
ჩესტერფილდი 2:1 ბრისტოლი
პიტერბრო 5:0 ტრანმერი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

კარლაილი 0:2 ჰარტლპული
ექსეტერი 2:1 იორკი
ლეიტონი 2:0 მენსფილდი

## ავსტრია

**თასის მერვედფინალი**

რაპიდი 1:2 ზალცბურგი
აუსტრია 2:3 ინტერვეტენი
ლეოზენი 1:1 დამ. დრ. (პენ. 2:4, 1:1) გად ბლაუვერგი
ვაიდჰოფენი 1:3 გრაცერი
რიდი 1:2 ლინცერი
ვინერ ნოიშტადტი 0:4 შტურმი



REUTERS

ლივერპული — რომა. გუშინ რომაელებმა ლივერპულურ კედელს ბურთი ვერ გააცილეს

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი — რეალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სარიჩი, გუმასი, ფისასი, ლიბეროპულოსი, გალეტო, კარაგუნისი, ვლაოვიჩი, მიკაელსენი, კონსტანტინუ
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი

კასილიასი, ჯერემი, კამპო, რუბენი, რაულ ბრავო, კონსეისაო, სელადესი, მაკმანამანი, სოლარი, მორიენტესი, სავიო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ათენი. „სპიროს ლუისი". მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

# ლიგაა თუ ბავშვთა ლიგა
## რეალი პორტილიოს დაკაცებას უპირებს

**დღეს** ათენში მადრიდის „რეალი" „პანათინაიკოსს" შეხვდება. ბერძნებს ფრეც ხელს აძლევთ ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად. თუმცა ბერძნები რომც დამარცხდნენ, მაინც აღმოჩნდებიან მეოთხედფინალში, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ „პორტუ" უმოტივაციო „სპარტას" მოუგებს. ასეთია ვითარება, რაც ცხრილიდანაც კარგად ჩანს. ახლა იმაზე, რაც ცხრილში არ წერია:

წინასწარი ინფორმაციით, „რეალს" „პანათინაიკოსთან" ერთი ფეხბურთელიც არ ეყოლება ისეთი, რომელმაც წინა შაბათს „ბარსელონასთან" სრულად ჩაატარა შეხვედრა. ერთადერთია სანტიაგო სოლარია, რომელმაც „კამპ ნოუზე" თითქმის მთელი მატჩი ითამაშა, თუმც დელ ბოსკემ იგი ბოლოს სტივ მაკმანამანით შეცვალა, დანარჩენები კი, ვინც დღეს „რეალში" ითამაშებს, მეორე შემადგენლობის ფეხბურთელია. თუმცა, ეს ფერნანდო მორიენტესზე არ ითქმის, რომელიც სასტარტოშია გამწესებული.

„კამპ ნოუს" მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკე შეგირდებს ასვენებს. არც არავინ გაამტყუნებს, ბოლოს და ბოლოს ზიდანიც და რაულიც ადამიანები არიან, დასვენება მათაც არ აწყენთ. მით უმეტეს, პრიმერადივიზიონში კიდევ არის საბრძოლველი და კარს ლიგის მეოთხედფინალებიცაა მომდგარი. დღევანდელ მატჩში გამარჯვება „რეალს" ფულს და ჯგუფში ექვსივე მატჩის მოგების რეკორდს კი მოაპოვებინებს, მაგრამ ამაზე დაე, რუბენმა, რაულ ბრავომ, ივან კამპომ, ალბერტ სელადესმა და მისთანებმა იზრუნონო, — ასე გადაწყვიტა მწვრთნელმა. სხვათა შორის, მათაც რომ შეუძლიათ მოგება, წინა ტურში „სპარტასთან" დაამტკიცეს.

კიდევ: ხავიერ პორტილიოს სახელი კარგად დაიმახსოვრეთ. მას დღეს, შესაძლოა, „სამეფო კლუბში" სალიგო დებიუტი ჰქონდეს. არადა, ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. პერსპექტივას და ნიჭს კი ნუ იკითხავთ, „რეალის" სარეზერვო გუნდში გატანილი 400-მდე გოლი, ალბათ, ყველაფერზე მეტყველებს.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში კი „პანათინაიკოსი" „რეალთან" მატჩის წინ მუქარის ხასიათზეც დამდგარა. ხორვატი რობერტ იარნი, რომელიც ახლა ბერძენთა რიგებშია, ხოლო ადრე რეალელი გახლდათ, ყოფილ თანაგუნდელებს მუშტს უღერებს — უდიდესია მოტივაცია საიმისოდ, რომ დღეს „რეალს" მოვუგოთ და დავამტკიცოთ, რომ ევროპულ ელიტაში შესვლას ვიმსახურებთო — განუცხადა იარნიმ ჟურნალისტებს. ისე, იგი, სავარაუდოდ, „პანათინაიკოსის" ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. ბერძნებს დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლებათ ნახევარმცველი ანგელოს ბასინასი და მცველი სოტირის კირიაკოსი, საეჭვოა ლეონიდას ვოკოლოსის თამაშიც, მას ტრავმა აქვს.

### სპარტა — პორტუ

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩეხი, ფლახბარტი, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, გრიგერა, სიონკო, იაროშიკი, კლეინი, მიხალიკი, ჰარტიგი, კინცლი
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი

პაულუ სანტუში, იბარა, მარიუ სილვა, ანდრადე, რიკარდუ სილვა, სოდერსტრიომი, კოშტინია, დეკო სოუზა, პენა, ნუნუ კაპუშუ, კლეიტონი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

პრაღა. „ლეტნა". მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

„პორტუს" პრაღაში მოგება სჭირდება და თან ათენში „პანათინაიკოსის" წაგებასაც ნატრულობს. ასეთ შემთხვევაში ბერძნებს ქულებით გაუტოლდება და მეოთხედფინალში გავა, რადგან ათენელებს ურთიერთშეხვედრებში სჯობნის.

ჩეხეთის ჩემპიონატის წინა ტურში „ჟიჟკოვთან" ფრედ ნათამაშებ „სპარტას" დღეს ზდენეკ გრიგერა არ ეყოლება. შესაძლოა, ლიბორ სიონკომაც ვერ ითამაშოს. მას, ალბათ, ტომაშ ჩიჟეკი შეცვლის.

„პორტუს" უმთავრესი დანაკლისი კი ვიტორ ბაიაა. მეკარეს მუხლის ტრავმა აწუხებს. სხვათა შორის, პორტუგალიის ჩემპიონატის წინა ტურში „პორტუმ" „სპარტას" მსგავსად ფრედ ითამაშა. და კიდევ, პორტუგალიელებს დისკვალიფიცირებული კარლუშ სეკრეტარიუ დააკლდებათ.

ნიკა შუბლაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| სპარტა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |



ბერძენთა მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისი: არ გავუშვებ

## D ჯგუფი

### დეპორტივო — ლევერკუზენი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ნუნო, ექტორი, სეზარი, ნაიბეტი, კაპდევილა, დუშერი, მაურო სილვა, ჯალმინია, ამავისკა, მაკაი, პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ბუტი, სებესკენი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი, რამელო, ბალაკი, ბაშთურქი, ზე რობერტო, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ლა კორუნია. „ესტადიო რიასორი". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### იუვენტუსი — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კარინი, ბირინდელი, პარამატი, ძენონი, პესოტო, ძამბროტა, კონტე, დავიდსი, მარესკა, ზალაიეტა, ამორუზო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

სიმენი, დიქსონი, ლუჟნი, კემპბელი, ლორენი, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, ვილტორდი (ან კანუ)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

# ჭაბუკი ქალბატონები და მეორე ესპანელები



ლონდონში გაფუჭებული საქმის გამოსწორებას ტიერი ანრი ტურინში ეცდება

**„არსენალისთვის"** ყველაფერი ცხადზე უცხადესია — ლონდონის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მიჯნაზე დგას და ამ მიჯნის გადასალახავად ტურინში ყოვლად უმოტივაციო „იუვენტუსის" დამარცხება სჭირდება. თუ ეს შეძლო, არსენ ვენგერის გუნდი ესპანურ „დეპორტივოსთან", უკიდურეს შემთხვევაში კი ლევერკუზენის „ბაიერთან" ერთად მოხვდება ევროპის უდიდესი შეჯიბრების რვა საუკეთესოს შორის.

მაგრამ, მოუგებენ „მეთოფეები" „ბებერ ქალბატონს"? თუ გავითვალისწინებთ, რომ „იუვენტუსს" ჩემპიონთა ლიგისთვის აღარ სცხელა და მთელი ყურადღება სერია A-ში „რომასა" და „ინტერთან" რბოლაზე აქვს გადატანილი, არ არის გამორიცხული მისმა მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ მოედანზე „ჭაბუკი ქალბატონები" გაიყვანოს, რაც ლონდონელებს მნიშვნელოვნად გაუიოლებს საქმეს. ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება: ლიპის განკარგულებაში არ იქნება მისი ხელმძღვანელობით 1995-96 წლებში ამ თასის მფლობელი ჩირო ფერარა (ფერარას გარდა გუნდს კიდევ სამი მოთამაშე შემორჩა იმ შემადგენლობიდან), ხოლო ალესანდრო დელ პიერო (ერთი მათგანი) და მსოფლიოს ჩემპიონი ლილიან ტურამი ახლა იშუშებენ ტრავმებს და რისკის თავიდან ასაცილებლად მატჩს ტრიბუნიდან მიადევნებენ თვალყურს. საბოლოოდ, იმის თქმა გვინდა, რომ „დელე ალპის" ხალხი, ალბათ, უმალ შაბათს „პარმასთან" თამაშზე იფიქრებს, ვიდრე დღეს დახარჯავს ძალ-ღონეს.

აი, რაც შეეხება ლიპის მეტოქე-კოლეგას, არსენ ვენგერს, ის ყველა ღონეს იხმარს, რათა „არსენალმა" თასისთვის ბრძოლა განაგრძოს. ამასთან, მწვრთნელის თანამემამულე, ტიერი ანრი — ისიც ტურამისავით მსოფლიოს ჩემპიონი — თავს დადებს, რათა ერთი კვირის წინ „დეპორტივოსთან" დაშვებული შეცდომები გამოასწოროს. გეხსომებათ, იმ შეხვედრაში ანრიმ ერთი, რომ პენალტი ააცილა და ამას გარდა ერთობ უგემურადაც ითამაშა.

ერთი სიტყვით, „მეთოფეებს" მიზანი აქვთ — როგორც შინ, ასევე გარეთ, ტიტულები მოიხვეჭონ ანუ თეორიულად არ არის გამორიცხული გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედის" 1999 წლის შედეგი გაიმეოროს: შინ ჩემპიონი და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი გახდეს, გარეთ კი ლიგა მოიგოს.

მოსალოდნელია, რომ ვენგერმა დაცვის ცენტრში ვეტერანი ტონი ადამსი და სოლ კემპბელი შეუწყვილოს ერთმანეთს, თუმცა გამოჯანმრთელებულ ადამსს ამ სეზონში საბრძოლო გამოცდილება აკლია, მხოლოდ ხუთ შეხვედრაში იყო მოედანზე.

უნდა ითქვას ერთიც: „არსენალს" „დელე ალპი", ალბათ, ფაქტობრივად, ცარიელი დაუხვდება. მიზეზი გასაგებია:

„ჩვენ ვიმსახურებდით შეჯიბრებიდან გავარდნას, ვინაიდან მეტოქეები გვჯობდნენ" — ამბობს მარჩელო ლიპი.

ჯგუფის მეორე შეხვედრა და „დეპორტივოსა" და „ლევერკუზენს" შორის გაიმართება. გერმანელთაგან, მათი ეროვნული პირველობის ბოლო ტურში გოლები კვლავ დიმიტარ ბერბატოვმა და ტომას ბრდარიჩმა გაიტანეს — ეს მოთამაშეები სულ ცოტა ხნის წინ სათადარიგოები იყვნენ — ამჯერად მათ „შტუტგარტი" ემსხვერპლათ. „დეპორტივოს" წინააღმდეგ ითამაშებს გუნდისთვის ერთობ მნიშვნელოვანი ნახევარმცველი კარსტენ რამელოც (შტუტგარტელებთან შეხვედრაში იგი დისკვალიფიკაციის გამო არ იყო მოედანზე), ხოლო ესპანელები, რომელთაც თითქოს თავი ქუდში ანუ მეოთხედფინალში აქვთ (10 ქულა და გატანილ-გაშვებულთა შთამბეჭდავი რაოდენობით), სავარაუდოდ, მეორე შემადგენლობით იბრძოლებენ. თავად განსაჯეთ, დაშავებულნი არიან: ხუან კარლოს ვალერონი, დიეგო ტრისტანი, ფრანი და რომერო, ხოლო ლიონელ სკალონი და ვიქტორი დისკვალიფიცირებულნი გახლავან.

ბაჩუნა ძიძია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| იუვენტუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩარლტონელი ჯონათან ფორტუნი და ლეს ფერდინანდი

# ლაშქრობა ბებერი ფეხებით

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXX ტური

**ტოტენჰემი 0:1 ჩარლტონი**

0:1 პაუელი (70)

**ტოტენჰემი:** სალივანი, პერი, ციგე, კინგი, გარდნერი, შერვუდი, ანდერტონი, ს. დევისი, პოიეტი, რებროვი (ეზერინგტონი 74), ლ. ფერდინანდი (ივერსენი 46)

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

**ჩარლტონი:** დ. კელი, კ. პაუელი (ჯ. რობინსონი 90), რუფუსი, იანგი, ფორტუნი, ჟორჟე კოშტა, გ. სტიუარტი, ბარტ-უილიამსი, პარკერი (კონჩესკი 83), სვენსონი, იუელი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: გარდნერი

მსაჯი: უინტერი

29 602 მაყურებელი

**ოდენ უქმეების** შემდეგ მოიცალა ამ წყვილმა 30-ე ტურისთვის და ორშაბათი ნამეტანი მძიმე დღე გამოდგა გლენ ჰოდლისთვის.

„ტოტენჰემის" მენეჯერი ნამდვილ ცაიტნოტშია — მისმა გუნდმა კვლავ წააგო.

გაზეთი „სანი" ამ მატჩის რეპორტაჟს ასე იწყებს — მაშინ, როცა „სფურზის" ფანებს ეგონათ, რომ უარესი არაფერი მოხდებოდა, მოვიდა ერთი და კბილებში შემოჰკრა მათ.

ის ერთი კი კრის პაუელი გახლავთ, ვინც თავის საპრემიერლიგო კარიერაში მეხუთე გოლი გაიტანა და „უაით ჰართ ლეინის" კაცებს ზედიზედ მეოთხე მარცხი მიუსაჯა.

„ჩარლტონმა" სრულიად დამსახურებულად მოიგო და მერვედან მეშვიდე ადგილზეც ალზევდა.

„ტოტენჰემმა" კი ოთხ შეხვედრაში მეცამეტე გოლი გაუშვა.

გლენ ჰოდლს თავის მართლება და წუწუნი მაინც შეუძლია — „ტოტენჰემის" ორი სუპერშემტევი შეუძლოდ იყვნენ. ტედი შერინგემი საზარდულმა შეაწუხა და განაცხადში არც შეუყვანიათ, ხოლო ლეს ფერდინანდი რიჩარდ რუფუსთან ორთაბრძოლისას ნამდვილ ძვალთამტვრევაში მოჰყვა და ამიტომაც შეცვალეს.

რიჩარდ რუფუსზე იმასაც დავძენთ, რომ მუხლის მყესების ოპერაციის გამო შარშანდელ აგვისტოს აქეთ პირველად ითამაშა და ძალიან ნაყოფიერადაც.

ამ ფეხბურთელს ინგლისის ეროვნულ ნაკრების კანდიდატად განიხილავენ, თუმც ნაავადმყოფარს ძალიან მცირე შანსი აქვს შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელად.

ჰმავე „სანს" თუ ვერწმუნებით, გლენ ჰოდლს თუ რამე სჭირდება, რუფუსის დარი ცენტრალური ნახევარმცველიო.

ისე, კბილი სერგეი რებროვსაც გაჰკრეს — რასაც მას უხდიან, იმდენს მოედანზე ვერაფერს აკეთებს ანუ გოლი ვერ გააქვსო.

გატანა კი „ტოტენჰემს" 34 წლის ურუგვაელს, გუსტავო პოიეტს მართებდა. მან სამჯერ გააცუდა შანსი, რომელთაგან ორჯერ დინ კელიმ შეუშალა ხელი. „სანმა" კი ინგლისური იუმორით პოიეტიც გააქილიკა — ვეტერანი ფეხები ხანგრძლივი ლაშქრობისთვის ემზადებიანო.

**დავით თაგართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 20 | 4 | 7 | 78:40 | 64 |
| არსენალი | 30 | 18 | 9 | 3 | 60:32 | 63 |
| ლივერპული | 31 | 18 | 8 | 5 | 52:26 | 62 |
| ნიუკასლი | 30 | 17 | 5 | 8 | 54:40 | 56 |
| ჩელსი | 30 | 14 | 11 | 5 | 58:30 | 53 |
| ლიდსი | 30 | 13 | 12 | 5 | 42:30 | 51 |
| ჩარლტონი | 30 | 10 | 11 | 9 | 34:34 | 41 |
| ასტონ ვილა | 30 | 10 | 11 | 9 | 35:36 | 41 |
| ტოტენჰემი | 30 | 11 | 5 | 14 | 39:45 | 38 |
| ვესტ ჰემი | 30 | 10 | 7 | 13 | 35:49 | 37 |
| საუთჰემპტონი | 30 | 10 | 6 | 14 | 37:45 | 36 |
| ფულემი | 30 | 8 | 11 | 11 | 30:36 | 35 |
| მიდლსბრო | 30 | 9 | 8 | 13 | 29:38 | 35 |
| სანდერლენდი | 30 | 9 | 7 | 14 | 23:37 | 34 |
| ევერტონი | 30 | 8 | 9 | 13 | 29:36 | 33 |
| ბლექბერნი | 30 | 8 | 8 | 14 | 39:41 | 32 |
| იფსვიჩი | 30 | 8 | 7 | 15 | 38:49 | 31 |
| ბოლტონი | 30 | 6 | 12 | 12 | 32:47 | 30 |
| დერბი ქაუნთი | 30 | 8 | 5 | 17 | 26:47 | 29 |
| ლესტერი | 30 | 3 | 10 | 17 | 21:53 | 19 |

# რანიერი მერცხლად არ იყიდება
## ოღონდ 25-ით მეტი ჩამოყაჭეთ

**რანაირია** რანიერი და მაგარიო, ასე სჯერა „ჩელსის" უფროსობას და, ცხადია, კლუბის თავმჯდომარე კენ ბეიტსაც.

იტალიელ მწვრთნელს „ჩელსისთან" კონტრაქტი გაისად ეწურება, მაგრამ კლუბმა ხელშეკრულების კიდევ ორი წლით გახანგრძლივება შესთავაზა.

იტალიელმაც ყინჩად დაიჭირა თავი და ხელფასის 25 პროცენტით გაზრდა მოითხოვა. კლაუდიო რანიერი ახლა კვირაში 20 000 ევროს იღებს, ხოლო კონტრაქტის გახანგრძლივების შემთხვევაში 5 ათასით მეტს ითხოვს.

51 წლის კლაუდიო რანიერის, რომელმაც სახელი „ატლეტიკოს" და „ვალენსიას" გაწვრთნით დაიგდო, „ჩელსიში" ჯერ ერთი ტიტულიც არ მოუგია. მან 18 თვის წინ შეცვალა ჯანლუკა ვიალი, მაგრამ ვერცხლის ნაკეთობისა ვერაფერი დააჭერინა „ჩელსის" — ინგლისური საფეხბურთო ტროფეი ხომ ყველა ვერცხლისაა.

მიმდინარე სეზონში „ჩელსი" უეფას თასიდან „ჰაპოელმა" დაიფრინა, ხოლო საშინაო ფრონტზე ერთობ არასტაბილურად გამოდის.

თუმც ბოლო მატჩები აღმავლობით ჩაატარა და ახლა პრემიერლიგაში მეხუთე ადგილზეა, რაც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა.

გარდა ამისა, „ჩელსი" ასოციაციის თასზე წარმატებით გამოდის და აპრილში „ფულემთან" მოუწევს შებმა ფინალში გასასვლელად.

**დავით თაგართქილაძე**



კლაუდიო რანიერი

# გაზამ პირველში დაგაზა

**„ევერტონის"** და ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი პოლ გესქოინი სეზონის ბოლომდე „ბარნლიში" გადავიდა. „ბარნლი" კი, მოგეხსენებათ, ის გუნდია, რომელიც პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ლამობს მოხვედრას. და ახლა, როცა გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, შანსი უფრო რეალურია.

პირველდივიზიონელები თითქმის თვეა, გესქოინის გადაპირებას ცდილობდნენ, თუმცა ნახევარმცველის გაშვებაზე ლივერპულელთა მწვრთნელი უოლტერ სმიტი არ თანხმდებოდა, ამასთანავე არც თავად ფეხბურთელს სურდა „გუდისონ პარკიდან" წასვლია, თუმცა შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ უოლტერ სმიტი გაათავისუფლეს. გესქოინმა კი დაიქადნა, თუ მწვრთნელს მოხსნით, „ევერტონს" დავტოვებო და აგერ, აასრულა კიდეც სიტყვა.

„ევერტონის" ახალი მწვრთნელი დევიდ მოიესი ეცადა, გესქოინი დაეტოვებინა, რამდენჯერმე პირადად შეხვდა, მაგრამ უშედეგოდ.

„მართალია, გესქოინი სეზონის ბოლომდე გადავიბირეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, უფრო დიდი ხნით დარჩეს ჩვენთან, ამისთვის უბრალოდ, ორივე მხარის თანხმობა იქნება საჭირო" — ბრძანებს „ბარნლის" თავმჯდომარე ბარი კილბი.



პოლ გესქოინი

## იტალია

### სერია B. XXVIII ტური

**პალერმო 1:0 მესინა**

1:0 გვიდონი (7)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 28 | 17 | 6 | 5 | 50:23 | 57 |
| მოდენა | 28 | 15 | 9 | 4 | 45:17 | 54 |
| რეჯინა | 28 | 15 | 8 | 5 | 40:26 | 53 |
| კომო | 28 | 16 | 5 | 7 | 36:25 | 53 |
| სალერნიტანა | 28 | 13 | 8 | 7 | 46:39 | 47 |
| პალერმო | 28 | 12 | 8 | 8 | 40:38 | 44 |
| ნაპოლი | 28 | 11 | 10 | 7 | 34:30 | 43 |
| ვიჩენცა | 28 | 10 | 10 | 8 | 42:40 | 40 |
| სამპდორია | 28 | 9 | 9 | 10 | 36:36 | 36 |
| ბარი | 28 | 9 | 9 | 10 | 27:35 | 36 |
| ანკონა | 28 | 9 | 7 | 12 | 29:38 | 34 |
| ჯენოა | 28 | 7 | 12 | 9 | 30:28 | 33 |
| კოზენცა | 28 | 9 | 6 | 13 | 34:45 | 33 |
| მესინა | 28 | 7 | 11 | 10 | 29:32 | 32 |
| კალიარი | 28 | 6 | 12 | 10 | 27:30 | 30 |
| ჩიტადელა | 28 | 7 | 8 | 13 | 34:43 | 29 |
| ტერნანა | 28 | 5 | 13 | 10 | 32:39 | 28 |
| პისტოიეზე | 28 | 6 | 8 | 14 | 22:33 | 26 |
| სიენა | 28 | 6 | 8 | 14 | 21:38 | 26 |
| კროტონე | 28 | 3 | 9 | 16 | 31:50 | 18 |

## ჩეხეთი

22-ე ტური: სლავია — ბოჰემიანსი 2:2; დრნოვიცე — ბლშანი 2:0; ქიქკოვი — სპარტა 1:1; ბანიკი — ბრნო 1:1; იაბლონეცი — სინოტი 1:2; პრჟიბრამი — ოპავა 2:0; ჰრადეც კრალოვე — ტეპლიცე 3:0; სიგმა — ლიბერეცი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 22 | 16 | 2 | 4 | 45:12 | 50 |
| ქიქკოვი | 22 | 15 | 4 | 3 | 34:15 | 49 |
| ლიბერეცი | 22 | 14 | 6 | 2 | 40:17 | 48 |
| ბოჰემიანსი | 22 | 12 | 6 | 4 | 34:19 | 42 |
| ბანიკი | 22 | 9 | 7 | 6 | 30:26 | 34 |
| ბრნო | 22 | 9 | 6 | 7 | 26:32 | 33 |
| სლავია | 22 | 8 | 8 | 6 | 34:27 | 32 |
| სინოტი | 22 | 8 | 4 | 10 | 22:28 | 28 |
| იაბლონეცი | 22 | 6 | 9 | 7 | 21:24 | 27 |
| პრჟიბრამი | 22 | 7 | 4 | 11 | 19:28 | 25 |
| ჰრადეც კრალოვე | 22 | 7 | 4 | 11 | 23:36 | 25 |
| დრნოვიცე | 22 | 6 | 5 | 11 | 27:28 | 23 |
| სიგმა | 22 | 5 | 8 | 9 | 19:27 | 23 |
| ტეპლიცე | 22 | 6 | 5 | 11 | 23:32 | 23 |
| ბლშანი | 22 | 5 | 2 | 15 | 23:40 | 17 |
| ოპავა | 22 | 2 | 2 | 18 | 14:43 | 8 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XXVII ტური

**მაინცი 3:0 ვალდჰოფი**

1:0 ვაილანდი (9), 2:0 შვარცი (39), 3:0 ფრიდრიხი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 26 | 18 | 7 | 1 | 73:29 | 61 |
| მაინცი | 27 | 15 | 7 | 5 | 54:31 | 52 |
| ფიურტი | 27 | 15 | 6 | 6 | 54:32 | 51 |
| არმინია | 27 | 14 | 7 | 6 | 51:29 | 49 |
| უნიონი | 27 | 14 | 6 | 7 | 53:31 | 48 |
| ბოხუმი | 26 | 13 | 7 | 6 | 52:42 | 46 |
| აინტრახტი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:35 | 42 |
| ალენი | 27 | 11 | 6 | 10 | 49:58 | 39 |
| დუისბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 47:42 | 38 |
| ალემანია | 27 | 10 | 4 | 13 | 34:51 | 34 |
| როიტლინგენი | 26 | 9 | 5 | 12 | 38:43 | 32 |
| ვალდჰოფი | 27 | 8 | 8 | 11 | 34:41 | 32 |
| უნტერჰახინგი | 27 | 8 | 7 | 12 | 32:35 | 31 |
| კარლსრუე | 27 | 7 | 7 | 13 | 33:44 | 28 |
| ობერჰაუზენი | 26 | 7 | 5 | 14 | 41:44 | 26 |
| შვაინფურტი | 27 | 6 | 5 | 16 | 25:48 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 27 | 4 | 6 | 17 | 19:59 | 18 |
| ბაბელსბერგი | 27 | 4 | 4 | 19 | 29:67 | 16 |

## საბერძნეთი

მე-20 ტური: პანაჰაიკი — პანიონიოსი 1:1; პანათინაიკოსი — ირაკლისი 2:1; პაოკ — ქსანთი 1:0; ოფი — არისი 1:2; იონიკოსი — ეგალეო 1:1; აკრატიტოსი — აეკ 0:1; ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 13 | 5 | 2 | 51:22 | 44 |
| აეკ | 20 | 14 | 1 | 5 | 44:20 | 43 |
| პანათინაიკოსი | 20 | 12 | 5 | 3 | 36:16 | 41 |
| პაოკ | 20 | 11 | 5 | 4 | 38:27 | 38 |
| ქსანთი | 20 | 9 | 6 | 5 | 29:19 | 33 |
| არისი | 20 | 7 | 7 | 6 | 22:21 | 28 |
| ირაკლისი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:26 | 28 |
| პანიონიოსი | 20 | 6 | 8 | 6 | 28:29 | 26 |
| ოფი | 20 | 7 | 5 | 8 | 23:25 | 26 |
| ეგალეო | 20 | 5 | 4 | 11 | 22:38 | 19 |
| იონიკოსი | 20 | 3 | 7 | 10 | 15:36 | 16 |
| ეთნიკოსი | 20 | 3 | 5 | 12 | 16:33 | 14 |
| აკრატიტოსი | 20 | 3 | 4 | 13 | 17:31 | 13 |
| პანაჰაიკი | 20 | 1 | 9 | 10 | 19:42 | 12 |

## პორტუგალია

### I ლიგა. XXVII ტური

**ბენფიკა 5:0 ფარენსე**

1:0 სიმაო (17), 2:0 ტ. მენდესი (49), 3:0 მიგელი (62), 4:0 დრულოვიჩი (75), 5:0 სიმაო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 27 | 18 | 6 | 3 | 60:20 | 60 |
| ბოავიშტა | 27 | 18 | 5 | 4 | 44:14 | 59 |
| ბენფიკა | 27 | 14 | 9 | 4 | 52:30 | 51 |
| პორტუ | 27 | 15 | 4 | 8 | 46:28 | 49 |
| მარიტიმუ | 27 | 14 | 3 | 10 | 40:28 | 45 |
| ბელენენსეში | 27 | 13 | 5 | 9 | 41:36 | 44 |
| ლეირია | 27 | 11 | 8 | 8 | 40:29 | 41 |
| გიმარაეში | 27 | 10 | 8 | 9 | 28:25 | 38 |
| ფერეირა | 27 | 9 | 9 | 9 | 36:37 | 36 |
| სანტა კლარა | 27 | 9 | 7 | 11 | 25:34 | 34 |
| ბრაგა | 27 | 8 | 9 | 10 | 31:29 | 33 |
| ბეირა მარი | 27 | 8 | 7 | 12 | 40:47 | 31 |
| სეტუბალი | 27 | 7 | 8 | 12 | 30:34 | 29 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 7 | 6 | 14 | 28:45 | 27 |
| ვარზიმი | 27 | 6 | 7 | 14 | 22:46 | 25 |
| სალგეირუში | 27 | 6 | 6 | 15 | 22:57 | 24 |
| ალვერკა | 27 | 6 | 5 | 16 | 29:50 | 23 |
| ფარენსე | 27 | 5 | 6 | 16 | 20:45 | 21 |

## დანია

### XXII ტური

**მიდტიულანდი 0:1 ოლბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 22 | 14 | 5 | 3 | 52:18 | 47 |
| კოპენჰაგენი | 22 | 11 | 7 | 4 | 38:18 | 40 |
| ოლბორგი | 22 | 12 | 4 | 6 | 33:29 | 40 |
| ოდენსე | 22 | 9 | 8 | 5 | 36:32 | 35 |
| ესბიერგი | 22 | 10 | 4 | 8 | 34:33 | 34 |
| მიდტიულანდი | 22 | 8 | 8 | 6 | 28:19 | 32 |
| აკადემისკი | 22 | 8 | 8 | 6 | 33:25 | 32 |
| ვიბორგი | 22 | 5 | 10 | 7 | 25:27 | 25 |
| სილკებორგი | 22 | 5 | 5 | 12 | 23:30 | 20 |
| ორჰუსი | 22 | 4 | 7 | 11 | 26:36 | 19 |
| ვაილე | 22 | 5 | 4 | 13 | 28:55 | 19 |
| ლიუნგბიუ | 22 | 2 | 8 | 12 | 20:54 | 14 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ლემანის წიხლი გერმანიამ გაარჩია



დორტმუნდელთა მეკარე იანს ლემანი ოთხ ბუნდესლიგურ მატჩს გამოტოვებს

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირმა დორტმუნდის „ბორუსიის“ მეკარე იენს ლემანს გუშინ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გადაუწყვიტა. ლემანი კვირას „ფრაიბურთან“ შეხვედრისას მეტოქის ნახევარმცველ ისმაელ კულიბალის ჩაწიხვლის გამო დაისაჯა.

დორტმუნდელთა მეკარემ შავკანიან ფრაიბურგელს წიხლი 21-ე წუთზე, საჯარიმოში შეტაკების მერე ჩააზილა. მსაჯ ჰერბერტ ფანდელს ეს მომენტი არ დაუნახავს და ლემანიც გაგდებას სწორედ ამიტომ გადაურჩა. თუმცა ის, რაც ფანდელმა ვერ შეამჩნია, საკმაოზე კარგადაც ჩანდა ვიდეოჩანაწერზე, რომლის რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ კავშირელი მამები დარწმუნდნენ, რომ ლემანი მალიელ ბიჭს წინასწარი განზრახვითა და ყოვლად დაუფარავად ქოლავდა.

კავშირის განაჩენი არ გავრცელდება უეფას თასზე, რომლის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „დორტმუნდი“ ხუთშაბათს სლოვანის „ლიბერეცს“ დაუხვდება.

**ლევან ძელაურაძე**

# ბატონი კვამლ გამხდარა

## რომარიოს აციებს და აცხელებს



**რომარიოს**, ვისაც ძალიან სწყურია მსოფლიოს ჩემპიონატზე ბურთაობა, ჯანმა უგანა. კლუბის, „ვასკუ და გამას“ ექიმმა ფერნანდუ მატარამ მას გამოკვლევა ჩაუტარა. ექიმი ეჭვობდა, ერთობ საშიში და სასიკვდილო ტროპიკული ციებ-ცხელების სიმპტომები ხომ არ არისო. საქმე ისაა, რომ დეკემბრიდან მოყოლებული, რიო დე ჟანეიროში ზემოთხსენებული ციებ-ცხელების ვირუსით დაავადებული 43 ათასი ადამიანი გამოავლინეს. მათ შორის 28 უკვე დაღუპულა და რომარიოს დასნეულებამაც ამიტომ ააფორიაქა, არა მარტო გუნდი, არამედ მთელი ბრაზილია. თვითონ ფეხბურთელი იმედიანადაა: „ვფიქრობ, ტროპიკული ციებ-ცხელება აქ არაფერ შუაშია. მსურს, მალე გამოვკეთდე და ვარჯიშს შევუდგე, რათა „ბოტაფოგოსთან“ მატჩისთვის მზად ვიყო“.

**გაგა ხუციშვილი**




## ფეხბურთის რუკაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არგენტინელი** ხუან პაბლო სორინი იტალიურ „ლაციოში“ გადავიდა. მას იტალიაში ადრეც უთამაშია — შვიდი წლის წინ ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა. „ლაციოში“ კი ბრაზილიური „კრუზეიროდან“ გადაბარგდა. „მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ახალ კლუბში პირველ მატჩს გავმართავ. იტალიაში ადრეც მითამაშია, მაგრამ მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი. ახლა უფრო მეტი გამოცდილება მაქვს. ძალიან გამიხარდება, თუ „ლაციოში“ ვერონი დაბრუნდება. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია“.

**ინგლისური „ლივერპულის“ ჩეხმა ნახევარმცველმა პატრიკ ბერგერმა განაცხადა, რომ ამიერიდან ეროვნულ ნაკრებში არ ითამაშებს. 28 წლის ფეხბურთელის თქმით, უმჯობესია, მთელი ძალები კლუბს მოახმაროს, თუმც აქვე ისიც აღიარა, რომ მის გადაწყვეტილებაზე იმანაც იმოქმედა, რომ ჩეხეთის ნაკრები მუნდიალზე ვერ გავიდა. აქვე გეტყვით, რომ ტრავმების გამო ბერგერმა „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. „ნაკრებში სათამაშოდ მუდამ მზად უნდა იყო, მაგრამ მე ამდენი არ შემიძლია. ამიტომაც გადავწყვიტე, ეროვნულ გუნდს სამუდამოდ დავემშვიდობო“ — თქვა ბერგერმა.**

**სამხრეთ კორეის** ნაკრების ჰოლანდიელ თავკაც გუს ჰიდინკს ჟურნალისტები არ სწყალობენ. კორეულ პრესაში უხვადაა სტატიები, სადაც ჰიდინკს ამხანაგურ მატჩებში ნაჩვენები უარყოფითი შედეგების გამო აკრიტიკებენ. „ძალიან ვჩქარობ. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ცოტა დრო რჩება. ყველანაირად ვეცდები, ნაკრები კარგად მოვამზადო. შესაძლოა, მუნდიალის შემდეგ გუნდის დატოვება მომიხდეს, მაგრამ გარწმუნებთ, ნაკრები დღევანდელზე აშკარად ძლიერი იქნება“ — თქვა ჰიდინკმა.

**შოტლანდიური „რეინჯერსის“ თავკაცმა ალექს მაკლიშმა განაცხადა, რომ არ აპირებს რუსეთის ნაკრებისა და „პსვ ეინდჰოვენის“ მცველ იური ნიკიფოროვის შეძენას. 31 წლის რუსს ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და ახლა სასურველი კლუბის ძიებაშია. ნიკიფოროვის გადაბირების ყველაზე რეალური შანსი ავსტრიულ „შტურმს“ აქვს, სადაც ამჟამად ქართველი დავით მუჯირი ირიცხება.**

**ბელარუსის** ნაკრების მცველი სერგეი იასკოვიჩი გერმანულ „ვალდჰოფში“ ისინჯება და საცაა კონტრაქტს გააფორმებს. მახაჩყალის „ანჟის“ ყოფილი ფეხბურთელი „ვალდჰოფმა“ ახლახან მიიწვია, თუმც აქვე სათქმელია ისიც, რომ ამჟამად გერმანიაში სატრანსფერო სეზონი დახურულია და იასკოვიჩიც მომავალ სეზონამდე ვერ შეძლებს თამაშს.

**ინგლისურმა „ბლექბერნმა“ ესპანური „სელტას“ რუს ნახევარმცველ ვალერი კარპინს დაადგა თვალი. 33 წლის ფეხბურთელი ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და უპრობლემოდ შეძლებს ახალ კლუბში გადასვლას. „ბლექბერნის“ პრეზიდენტ ჯონ უილიამსის თქმით, მის გუნდს ძალიან სჭირდება შემტევი სტილის ნახევარმცველი, კარპინი კი ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია.**

**იტალიური** „პარმას“ ფრანგი მცველი მარტინ ჯეტუ შესაძლოა, ინგლისურ „ლივერპულში“ გადავიდეს. 26 წლის ფეხბურთელს „პარმაში“ საქმეები ცუდად მისდის და კლუბის დატოვებას აპირებს. „ლივერპულის“ თავკაც ჟერარ ულიეს გადაწყვეტილი აქვს, ჯეტუ თავისთან წაიყვანოს. მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა.

**ესპანური „ვალიადოლიდის“ თავდამსხმელმა კვატემოკ ბლანკომ მექსიკის ნაკრებში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ მან ნაკრები შარშან ნოემბერში დატოვა, თუმც ახლა გადაიფიქრა. ამაში მთავარი როლი მექსიკელთა თავკაცმა ხავიერ აგირემ ითამაშა, რომელმაც ფეხბურთელის დაყოლიება შეძლო.**

**ირლანდიელმა** გულშემატკივრებმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბერტი აჰერნის თხოვნით მიმართეს, მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას დრო ცხრა საათით უკან გადაწიოს. „იაპონურ დროზე“ გადასვლას ხუთი ათასმა ქომაგმა მოაწერა ხელი. ისინი იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება მხარს დაუჭერს და მათ თხოვნას დააკმაყოფილებს.

**რუმინეთში, ქალაქ ბუქარესტის „დინამოს“ სტადიონის წინ, მოედანზე, გარდაცვლილი კატალინ ჰილდანის ძეგლი დადგეს. გახსნის ცერემონიას კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები დაესწრნენ. შეგახსენებთ, რომ ჰილდანმა „დინამოში“ 138 მატჩი ითამაშა და 6 გოლი გაიტანა, რუმინეთის ნაკრების მაისურა კი რვაჯერ მოირგო. ის შარშან, 5 ოქტომბერს, გუნდის ერთ-ერთი საკონტროლო მატჩისას გარდაიცვალა.**

**ფრანგული** „ლიონის“ თავდამსხმელი ფრედერიკ ნე დაშავდა და ფეხბურთის თამაშს ამ სეზონში ვერ შეძლებს. სამედიცინო გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ნეს მარჯვენა მუხლის მყესები აქვს დაზიანებული, რასაც ქირურგიული ჩარევა სჭირდება.

# მსტვინავი წერას აუტანია

**არის ვინმე** თურქი კაცი, იჰსან თურე. იგი თავის დროზე უსტვენდა. უსტვენდა საფეხბურთო მინდვრებზე მატჩების მსვლელობისას და ეს მისი ხელობა, მსაჯობა გახლდათ. სტვენასტვენით ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ ფიფას არბიტრობასაც კი გამოჰკრა ხელი და საერთაშორისო მატჩებსაც სჯიდა. 1993 წელს მან, როგორც პროფესიონალმა არბიტრმა, თავის დრო მოჭამა. მერე იხეტიალა და აგერ, რვა წლის შემდეგ პირიდან სასტვენგაგდებულმა ხელი კალამს სტაცა. გაიხსენა, რითი იყო დაკავებული სხვადასხვა დონის საერთაშორისო თამაშების წინ ან მათ შემდეგ და ყველაფერი ფურცელზე გადაიტანა. დაუგროვდა ეს ნაწერები, ერთ მშვენიერ დღეს აკინძა და აქცია წიგნად — იჰსან თურეს მემუარები. სხვაზე უფრო საინტერესოდ მის მემუარებში მსაჯთა მოქრთამმოთაფვლის მრავალი ნაცადი ხერხია აღწერილი. მაგალითად, თამაშის წინ არბიტრებს ეპატიჟებიან ფეშენებელურ სასტუმროში, სადაც ისინი უზრუნველყოფილნი არიან ყველანაირი ამქვეყნიური სიამოვნებით. ერთხელ თურმე თავად იჰსან თურეს უკისრია შუამავლობა მავან იტალიელ არბიტრთან, ვისაც უეფას თასზე მოთამაშე „გალათასარაის“ შეხვედრა უნდა განესაჯა. ნაარბიტრალი მსტვინავი გარიგებულ თამაშებზეც საუბრობს და ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ტურნირებში ამგვარი რამ ჩვეულებრივი ამბავიაო.

**გაგა ხუციშვილი**

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## C ჯგუფი: ბრაზილია თურქეთი, კოსტა რიკა, ჩინეთი



**ფართობი:** 8 511 965 კმ²
**მოსახლეობა:** 172 800 000
**დედაქალაქი:** ბრაზილია
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1914 წელს
ფიფას წევრი 1923 წლიდან
კონმებოლის წევრი 1916 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** რიკარდუ ტეიშეირა
**გენერალური მდივანი:** მარკო ანტონიო ტეიშეირა
**სტადიონი:** „მარაკანა“ (180 000)
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**კაპიტანი:** კაფუ
**ფორმა:** ყვითელი მაისურა, ლურჯი ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „სანტოსი“, „ფლამენგო“, „ვასკუ და გამა“, „სან პაულუ“, „პალმეირასი“, „კორინთიანსი“, „ბოტაფოგო“, „კრუზეირო“
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 3



## არის ასეთი ქვეყანა

ბრაზილია რასების აჯაფსანდალია. ხალხთა შერწყმის შალაშინს იქ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა, რომ ერთიანი შინაგანი და გარეგანი ნიშნების მატარებელი ერი გამოხვეწოს. ეს ამბავი ისტორიამ განაპირობა: როცა ესპანეთი ამერიკის დიდ ნაწილს ითვისებდა, პორტუგალიელები შემთხვევით სამხრეთ ამერიკის კუზივით გამობერილ ნაწილზე მოხვდნენ და იქ სხვადასხვა ტიპის პლანტაციებისთვის იდეალური პირობები ჰპოვეს. პლანტაციის გაშენებას კი შრომა უნდა და ჰაიდა, მორეკეს და მორეკეს ზანგები აფრიკიდან. ადგილობრივად ინდიელებიც ხომ სახლობდნენ, ამიტომ 400 წელზე მეტია, ბრაზილიაში სამი რასა ერთმანეთში იზილება. ოხრად არიან მეტისები (თეთრი + ინდიელი), კიდევ მეტი — მულატები (თეთრი + ზანგი) და არც ზანგინდიელთა ურთიერთობების ნაყოფია იშვიათი სანახვი: ასეთებს სამბოს უწოდებენ და ვერ მოგახსენებთ, რა კავშირშია ეს სიტყვა სამბასთან, მაგრამ თვით სამბა დიდებული ბრაზილიური ტაშფანდურა გახლავთ, რომელსაც მარტო იქ როდი მღერიან და ცეკვავენ, აგერ საქართველოშიც ჰყავს მიმდევრები.

რიო დე ჟანეიროს კარნავალზე სიტყვის დაძვრას არ ვაპირებთ, ნათქვამია უკვე ყველაფერი და ადამიანთა არ იყოს, ბრაზილიაში ყოფაც დია კონტრასტულია. იგივე რიოს ცათამბჯენები, „მარაკანა“, „ფორმულა 1“-ის ეტაპი სან პაულუში — ეს ერთი მხარე გახლავთ და გვაქვს აგრეთვე ღრმად უდაბური ამაზონის ტყეები 12 მეტრიანი ანაკონდებით (მაგრამ არა იმხელებით, როგორც ერთ ცრუ ფილმში) და თევზებზე შუბით მონადირე ინდიელებით. და კიდევ, ბრაზილიაში წასვლამდე აუცილებელია აცრა „ყვითელი ციებ-ცხელების“ წინააღმდეგ და მალარიის სამკურნალო წამალიც ჯიბეში იქონიეთ.

**დავით გულუა**



# ქორწილი და უმუსიკოდ?!

**ბოლო** სამი წლის განმავლობაში სამჯერ მწვრთნელნაცვალმა ბრაზილიის ნაკრებმა თვისტომნი უკიდურესად ანერვიულა. შესარჩევის ბარიერის გადალახვისას ტეტრაკამპეონებმა აქა-იქ იმდენად მოულოდნელად წაიბორძიკეს, სამბას ქვეყანაში ასეთი კითხვებიც კი გაჩნდა: მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ გავიდეთ? არა, არა, ეს შეუძლებელია, ქორწილი მუსიკის გარეშე? მუნდიალზე ბრაზილიელთა არყოფნა? შესარჩევი დასრულდა, ლუიშ ფელიპე სკოლარის ტანჯვა და ნაკრების კრიტიკა კი დღესაც გრძელდება.

ცხადია, მწვრთნელთა სწრაფმა და ქაოსურმა წასვლა-მოსვლამ ფეხბურთელებზეც ცუდად იმოქმედა. ერთი ისეთ ტაქტიკას ჩასჩიჩინებდა, მეორემ, ასე სჯობსო, მესამემ, სკოლარიმ, რვა თვის განმავლობაში 65 ფეხბურთელს მოაზომა ნაკრების მაისურა. „დიდი ფილი“ შუახაზის ძალიან მოყვარული აღმოჩნდა. იგი აქცენტს ნახევარმცველებზე აკეთებს და უპირატესობას 3-5-2-ს ანიჭებს. ხუთმა თანაბრად და სასარგებლოდ უნდა ირბინოს წინ და უკან. შეტევის ხაზი შვიდამდე გაიზრდება, დაცვისა კი — რვამდე. სკოლარი ფეხბურთელებისგან სამი ძირითადი პირობის შესრულებას ითხოვს — ბრძოლას მოედნის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე, მაქსიმალურ კონცენტრაციას და სიხისტეს მოქმედებაში. ამასთან, ლუიშ ფელიპე უფლებას აძლევს ფეხბურთელებს, კონკრეტულ ვითარებაში თავისი შეხედულებისამებრ გაისარჯონ. ოღონდ ყველაფერი გარკვეულ საზღვრებში უნდა იყოს მოქცეული. ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელის სცენარში უმთავრესი როლები რივალდოს და ემერსონს ეკუთვნით. რა ძალუძს ბარსელონელს, ქომაგს ამის ახსნა არ სჭირდება. ემერსონი კი სკოლარისთვის სანუკვარ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ძლიერი, თავდაჯერებული, მინდვრის ბრწყინვალედ მჭვრეტი და საკუთარი ემოციების უბადლო გამკონტროლებელი.

როცა ფლანგებზე ვლაპარაკობთ, მაშინვე „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორზე მქროლავი რობერტო კარლოსი გვახსენდება. „დიდი ფილი“ მარცხნივ მადრიდელის, მარჯვნივ კი რომაელი კაფუს გამწესებას აპირებს. მათ ხომ ფლანგების ათვისება და გამოყენება შესანიშნავად ეხერხებათ. მცველებსაც მხარს მისცემენ და მეტოქეთა კარის დალაშქვრაც შეუძლიათ. თუ მეგოლეებს გადავავლებთ თვალს, მწვრთნელს არჩევანის უდიდესი ასორტიმენტი აქვს: ელბერი, ჟარდელი, დენილსონი, ედილსონი, ლუიზაო, ვაშინგტონი, რონალდინიო და მოკლედ, ვის არ ნახავ ამ ნუსხაში. ორი კაცი კი ცალკე სალაპარაკო თემაა, ერთია რომარიო, ვინც ჯიქურ მიიწევს სკოლარიზე, მათამაშე, თორემ ინანებო. მეორე კი რონალდო, ვისაც ნაკრების მაისურის ჩაცმა მოენატრა, მაგრამ ტრავმებმა გატანჯა. რომარიოს ბრაზილიელთა უმეტესობა და თვით ქვეყნის პრეზიდენტიც სწყალობს, ეგ კაცი ნამდვილად საჭიროაო. არადა, როცა მიუწვევიათ, „რომიკო“ ყოველთვის კარგ შედეგს უჩვენებს. სკოლარიმ კი ბრძანა, მე თვითონ ვიცი, ვის ვუხმობ და ვის არაო.

ოთხგზის ჩემპიონთა ერთ-ერთი პრობლემა მათსავე ემოციურ ხასიათში ძევს. წარუმატებლობებმა ისე აწეწ-დაწეწა ნაკრებიც და ქვეყანაც, რომ შესაძლოა, ისტერიულმა ატმოსფერომ „ტეტრაკამპეონებს“ ცუდი სამსახური გაუწიოს. უპირველესად მათ დაწყნარება, დალაგება და ემოციათა კონტროლი სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელთა უმეტესობა სკოლარის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს, თავად ფეხბურთელებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ მწვრთნელთან და მისით კმაყოფილნიც არიან.

სირთულეს წარმოადგენს კიდევ ერთი რამ. „დიდმა ფილმა“ თუ დიდად დავიანგარიშებთ, გუნდის შეკვრა-შეთამაშება საბოლოოდ ვერ მოასწრო. არ ვიცი, რამდენად წაადგება ბრაზილიის ნაკრებს ისეთი ამხანაგური მატჩი, როგორიც ისლანდიის მეორე შემადგენლობასთან გამართეს. ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელები კი გახურებულნი არიან და ნაკრებში სათამაშოდ ვერ იცლიან, არადა მუნდიალამდე ორიოდ თვე დარჩა. როდის შეყრის ერთად დიდ ევროპელ ბიჭებს ლუიშ ფელიპე სკოლარი, უკვე დროისა და თავად მისი საქმეა. სამბას სამშობლოში მხოლოდ მეხუთედ გაჩემპიონებაზე ფიქრობენ, სხვა არაფრის მოსმენა არ სურთ.

ცოტა ჯგუფზეც ვთქვათ. კოსტა რიკა ბრაზილიის ძველი ნაცნობია, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიაში ერთ ჯგუფში თამაშობდნენ, მათი შეხვედრა სამხრეთამერიკელების გამარჯვებით დასრულდა — 1:0. თუმცა ბორა მილუტინოვიჩის კოსტა რიკამ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მერვედფინალშიც გააღწია, იქ კი ჩეხოსლოვაკიასთან 1:4 დამარცხდა. ჩინეთს საერთოდ არასდროს უგემია მუნდიალის ხიბლი. აი, თურქებს კი ერთხელ, 1954 წელს გაუოგორებიათ ბურთი. ბრაზილია ჯგუფის უდავო ფავორიტია, მაგრამ სამივე ნაკრები თავის წილად ემუქრება ტეტრაკამპეონებს. რას ფიქრობენ დიდი ბრაზილიელები? ***კარლოს ალბერტო პერეირა*** (1994 წლის ჩემპიონთა მწვრთნელი): „ჩვენ ჯგუფში სუსტი მოწინააღმდეგე არასდროს გვყოლია. პატივი უნდა ვცეთ მათ, როგორც მეტოქეს და როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულ გუნდს. ამიტომ ჯგუფიდან გასვლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“. ***პელე:*** „ვფიქრობ, ჯგუფში უკეთეს კომპანიონებს ვერც ვინატრებდით. მიმაჩნია, რომ ერთ-ერთ უსუსტეს ჯგუფში მოვხვდით. უბრალოდ, ჩვენ უნდა ვითამაშოთ ის, რაც ვიცით და შეგვიძლია. მჯერა ბრაზილიის და მჯერა, რომ ჩემპიონობის შანსი გვაქვს“. ***სებასტიან ლაზარონი*** (1990 წლის ნაკრების მწვრთნელი): „კარგად ვიცნობ ჩვენს სამივე მეტოქეს. ბრაზილიელთა უმეტესობას რატომღაც ჰგონია, რომ იოლი გასეირნება გველის და მერვედფინალში ცეკვა-თამაშით გავალთ. მერწმუნეთ, თურქეთშიც მიმუშავია, ჩინელებსაც ვიცნობ და კოსტა რიკაც კერკეტი კაკალია. ადვილი შესაძლებელია, მედგარ წინააღმდეგობას გადავაწყდეთ. მათი თამაშის სტილი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან, ჩვენთვის კი უცნობი. ეს უნდა შევიგნოთ და პატივი ვცეთ თანაჯგუფელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებები არ აგვცდება“.

**გაგა ხუციშვილი**

## ოპტიმალური შემადგენლობა




## განრიგი

3 ივნისი
ულსანი (კორეა). 13.30 საათი
„ულსან მუნსუ ფუტბალ სტადიუმი“
ბრაზილია – თურქეთი

8 ივნისი
სეოკვიპო (კორეა). 15.30 საათი
„ხეიხუ ვორლდ ქაფ სტადიუმი“
ბრაზილია – ჩინეთი

13 ივნისი
სუვონი (კორეა). 10.30 საათი
„სუვონ ვორლდ ქაფ სტადიუმი“
ბრაზილია – კოსტა რიკა

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**შესარჩევი ეტაპი**

28.03.2000
კოლუმბია 0:0 ბრაზილია
26.04.2000
ბრაზილია 3:2 ეკვადორი
04.06.2000
პერუ 0:1 ბრაზილია
28.06.2000
ბრაზილია 1:1 ურუგვაი
18.07.2000
პარაგვაი 2:1 ბრაზილია
26.07.2000
ბრაზილია 3:1 არგენტინა
15.08.2000
ჩილე 3:0 ბრაზილია
03.09.2000
ბრაზილია 5:0 ბოლივია
08.10.2000
ვენესუელა 0:6 ბრაზილია
15.11.2000
ბრაზილია 1:0 კოლუმბია
28.03.2001
ეკვადორი 1:0 ბრაზილია
25.04.2001
ბრაზილია 1:1 პერუ
01.07.2001
ურუგვაი 1:0 ბრაზილია
15.08.2001
| 24.03.02 | 16.30 | 281 | 0:1გენჩლერბირლიგი; ფენერბაჩე0:1; 1:2მალათია **ანთალია V გიოზთეპე** რიზე2:3; 1:2დენიზლი; გალათასარაი2:0 | 2,2 | 3,1 | 3,0 | | | | 0:0 | - | 2:1 1:0 | - |
| 24.03.02 | 16.30 | 282 | 2:2ფენერბაჩე; გაზიანთეპი1:1; ანთალია2:1 **მალათია V გენჩლერბირლიგი** ანთალია1:0; 2:1რიზე; დენიზლი4:2 | 2,3 | 3,2 | 2,7 | | | | 2:1 | - | - | - |
| 24.03.02 | 16.30 | 283 | 0:2სამსუნი; დიარბაქირი1:1; 1:2ბურსა **ანკარაგიუჯიუ V ისთანბული** 2:2გაზიანთეპი; 1:0სამსუნი; 0:1დიარბაქირი | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | 2:1 | 2:0 1:1 | 6:2 2:2 | 4:1 5:0 |
| 24.03.02 | 21.00 | 284 | 3:2გიოზთეპე; გენჩლერბირლიგი1:2; 1:2ფენერბაჩე **რიზე V ბეშიქთაში** დენიზლი2:2; 0:1გალათასარაი; იოზგათი4:2 | 4,2 | 3,1 | 1,75 | | | | 1:2 | 1:2 5:1 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი სტამბოლი (2) | | 2:0 | 1:0 | | : | 4:1 | 2:0 | 3:1 | 3:1 | 4:1 | 5:1 | 1:0 | 5:1 | 4:1 | 1:0 | 2:0 | 2:1 | | 26 | 17 | 5 | 4 | 59:30 | 56 | 14 | 0 | 0 | 39:8 | 42 | 3 | 5 | 4 | 20:22 | 14 |
| 2 | ფენერბაჩე სტამბოლი (1) | 1:0 | | 1:2 | 4:1 | 3:1 | 2:0 | : | 2:0 | | | | 2:1 | 3:0 | 2:1 | 2:2 | 3:0 | 3:2 | 1:0 | 27 | 18 | 2 | 7 | 53:28 | 56 | 11 | 1 | 1 | 29:10 | 34 | 7 | 1 | 6 | 24:18 | 22 |
| 3 | ბეშიქთაში სტამბოლი (4) | 2:2 | | | 1:2 | 2:1 | 0:1 | 3:1 | 1:0 | 1:2 | | 4:0 | 2:2 | 4:2 | 2:1 | 3:1 | 0:0 | | 4:2 | 27 | 16 | 6 | 5 | 63:32 | 54 | 8 | 3 | 3 | 29:17 | 27 | 8 | 3 | 2 | 34:15 | 27 |
| 4 | ანკარაგიუჯიუ ანკარა (6) | 2:1 | 3:2 | 3:4 | | 0:1 | : | 1:1 | 2:5 | 4:2 | 4:2 | 1:1 | | 2:0 | 1:1 | 6:0 | 2:0 | 2:0 | | 27 | 14 | 4 | 9 | 59:44 | 46 | 8 | 3 | 3 | 33:20 | 27 | 6 | 1 | 6 | 26:24 | 19 |
| 5 | ბურსასპორი ბურსა (14) | 5:0 | | 2:2 | 2:1 | | 1:2 | 0:2 | 0:1 | 2:2 | 0:0 | 2:1 | | 2:1 | 1:0 | 1:0 | | | 3:1 | 27 | 13 | 4 | 10 | 40:45 | 43 | 7 | 3 | 3 | 21:13 | 24 | 6 | 1 | 7 | 19:32 | 19 |
| 6 | ისთანბულსპორი სტამბოლი (12) | | 1:0 | 1:2 | 1:2 | 3:0 | | 0:1 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | | 1:0 | 0:1 | 4:1 | 2:0 | 27 | 11 | 6 | 10 | 26:26 | 39 | 7 | 3 | 4 | 17:9 | 24 | 4 | 3 | 6 | 9:17 | 15 |
| 7 | გაზიანთეპსპორი გაზიანთეპი (3) | 1:1 | 0:2 | | | 5:2 | 2:2 | | 5:0 | 5:2 | | 0:1 | 0:0 | | 0:2 | 1:0 | 1:0 | 2:3 | 3:2 | 27 | 10 | 7 | 10 | 44:40 | 37 | 6 | 3 | 4 | 25:17 | 21 | 4 | 4 | 6 | 19:23 | 16 |
| 8 | გენჩლერბირლიგი ანკარა (10) | 1:3 | | | 0:1 | | 0:1 | | | 1:1 | 0:1 | 4:4 | 4:2 | 2:2 | 2:2 | 1:2 | 2:2 | 1:0 | 3:2 | 27 | 10 | 7 | 10 | 40:44 | 37 | 3 | 5 | 5 | 21:23 | 14 | 7 | 2 | 5 | 19:21 | 23 |
| 9 | ტრაბზონსპორი ტრაპიზონი (5) | : | 2:1 | 0:5 | 2:2 | 5:0 | 2:0 | 2:1 | | | 3:0 | 0:2 | 2:2 | 1:2 | | | 1:2 | 2:0 | 2:0 | 26 | 10 | 5 | 11 | 42:44 | 35 | 7 | 2 | 4 | 24:17 | 23 | 3 | 3 | 7 | 18:27 | 12 |
| 10 | გიოზთეპე იზმირი (დ) | 2:0 | 0:5 | 0;6 | 2:1 | 2:0 | 0:0 | 1:3 | | | | 3:1 | 1:1 | 3:0 | 2:3 | | 2:1 | 0:0 | 0:0 | 27 | 9 | 8 | 10 | 29:42 | 35 | 6 | 4 | 4 | 18:21 | 22 | 3 | 4 | 6 | 11:21 | 13 |
| 11 | დიარბაქირსპორი დიარბაქირი (დ) | | 2:1 | 0:0 | 2:1 | 2:3 | 1:0 | 2:3 | 1:2 | 3:1 | 1:2 | | 3:0 | 1:1 | | | 1:1 | 3:1 | 1:1 | 27 | 9 | 7 | 11 | 38:42 | 34 | 6 | 4 | 4 | 23:17 | 22 | 3 | 3 | 7 | 15:25 | 12 |
| 12 | დენიზლისპორი დენიზლი (11) | 1:1 | 1:2 | 3:3 | 3:4 | 0:0 | | 5:2 | 4:1 | : | 2:1 | | | | 1:2 | 4:1 | 4:1 | 3:2 | 5:0 | 27 | 8 | 9 | 10 | 48:42 | 33 | 7 | 3 | 3 | 36:20 | 24 | 1 | 6 | 7 | 12:22 | 9 |
| 13 | კოჯაელისპორი იზმითი (13) | | 3:3 | 0:2 | | 1:2 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 2:1 | | 2:1 | 2:0 | 0:1 | 3:1 | | 27 | 9 | 5 | 13 | 31:44 | 32 | 8 | 2 | 4 | 21:13 | 26 | 1 | 3 | 9 | 10:31 | 6 |
| 14 | რიზესპორი რიზე (9) | 3:6 | 1:2 | : | | | 1:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 3:1 | 0:0 | | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 27 | 7 | 10 | 10 | 34:38 | 31 | 4 | 7 | 3 | 16:15 | 19 | 3 | 3 | 7 | 18:23 | 12 |
| 15 | მალათიასპორი მალათია (დ) | 0:2 | 1:3 | | 4:1 | | 2:0 | 1:1 | : | 1:0 | 3:1 | 0:3 | 0:0 | 2:1 | 2:1 | | 1:3 | 2:1 | 2:1 | 27 | 9 | 4 | 14 | 28:45 | 31 | 8 | 2 | 4 | 21:18 | 26 | 1 | 2 | 10 | 7:27 | 5 |
| 16 | სამსუნსპორი სამსუნი (8) | | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 0:2 | 1:2 | 1:2 | 0:0 | | : | | | | | | 27 | 8 | 5 | 14 | 25:37 | 29 | 4 | 1 | 6 | 12:14 | 13 | 4 | 4 | 8 | 13:23 | 16 |
| 17 | ანთალიასპორი ანთალია (15) | 1:1 | 0:1 | 1:4 | 1:8 | 3:0 | | 3:3 | 2:2 | | : | | 1:0 | 2:0 | 2:2 | 2:1 | 1:1 | | 3:3 | 27 | 5 | 8 | 14 | 37:57 | 23 | 4 | 6 | 3 | 22:26 | 18 | 1 | 2 | 11 | 15:31 | 5 |
| 18 | იიმპას იოზგატსპორი იოზგატი (7) | 3:3 | 1:2 | 1:3 | 0:2 | 3:4 | | | 0:2 | 2:3 | 1:1 | : | 0:1 | 4:0 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 3:2 | | 27 | 5 | 6 | 16 | 38:54 | 21 | 5 | 2 | 7 | 25:24 | 17 | 0 | 4 | 9 | 13:30 | 4 |

## საბერძნეთი. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. XXI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.03.02 | 17.00 | 238 | 1:1პანაჩაიკი; იონიკოსი2:2; 4:1აკრატიტოსი **პანიონიოსი** V **ეგალეო** 1:1იონიკოსი; პაოკ2:1; 0:3ოლიმპიაკოსი | 1,6 | 3,2 | 5,6 | | | | 1:0 | - | - | - |
| 24.03.02 | 17.00 | 239 | 1:0აკრატიტოსი; ოფი3:0; 0:2პანათინაიკოსი **აეკ** V **პანაჩაიკი** პანიონიოსი1:1; აკრატიტოსი1:1; 2:2ოფი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1,3 | 3,6 | 4,0 | 1:0 | 2:1 0:1 | 3:0 1:1 | - |
| 24.03.02 | 17.00 | 241 | 0:1პაოკ; ოლიმპიაკოსი1:2; 1:1ირაკლისი **ქსანთი** V **იონიკოსი** ეგალეო1:1; 2:2პანიონიოსი; 0:2პაოკ | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | 1:1 | 1:3 0:1 | 2:1 1:2 | 1:0 2:2 |
| 24.03.02 | 17.00 | 243 | 2:1ოფი; პანათინაიკოსი0:0; 2:2ეთნიკოსი **არისი** V **აკრატიტოსი** აეკ0:1; 1:1პანაჩაიკი; პანიონიოსი1:4 | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | 1:0 | - | - | - |
| 24.03.02 | 17.00 | 245 | 0:6ოლიმპიაკოსი; ირაკლისი1:2; არისი2:2 **ეთნიკოსი** V **პაოკ** ქსანთი1:0; 1:2ეგალეო; იონიკოსი2:0 | 3,4 | 3,1 | 1,95 | | | | 1:2 | 3:3 1:2 | - | 1:1 0:0 |
| 24.03.02 | 17.00 | 246 | 1:2პანათინაიკოსი; 2:1ეთნიკოსი; ქსანთი1:1 **ირაკლისი** V **ოფი** არისი1:2; 0:3აეკ; პანაჩაიკი2:2 | 1,75 | 3,0 | 4,4 | | | | 0:1 | 3:0 0:1 | 1:1 0:3 | 3:0 1:3 |
| 24.03.02 | 17.00 | 247 | ირაკლისი2:1; 0:0არისი; აეკ2:0 **პანათინაიკოსი** V **ოლიმპიაკოსი** ეთნიკოსი6:0; 2:1ქსანთი; ეგალეო3:0 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | 2:2 | 0:0 0:1 | 2:0 2:2 | 2:4 0:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი პირეუსი (1) | | | 2:2 | 3:2 | 1:1 | 0:1 | 3:0 | 2:0 | 31.03 | 3:0 | 5:0 | 6:0 | 07.04 | 4:0 | 20 | 13 | 5 | 2 | 51:22 | 44 | 7 | 2 | 1 | 29:6 | 23 | 6 | 3 | 1 | 22:16 | 21 |
| 2 | აეკ ათენი (3) | 2:3 | | 2:0 | | 2:0 | 4:2 | | 31.03 | 3:0 | 4:0 | 4:0 | 1:0 | 3:0 | : | 20 | 14 | 1 | 5 | 44:20 | 43 | 8 | 0 | 1 | 25:5 | 24 | 6 | 1 | 4 | 19:15 | 19 |
| 3 | პანათინაიკოსი ათენი (2) | : | 2:0 | | 1:2 | | 2:1 | 2:1 | 2:1 | 5:1 | 2:1 | 07.04 | 1:0 | 1:0 | 8:0 | 20 | 12 | 5 | 3 | 36:16 | 41 | 9 | 0 | 1 | 26:7 | 27 | 3 | 5 | 2 | 10:9 | 14 |
| 4 | პაოკ სალონიკი (4) | 1:1 | 3:2 | 31.03 | | 1:0 | 1:1 | 3:0 | 3:1 | 3:2 | 3:1 | 2:0 | 2:1 | | | 20 | 11 | 5 | 4 | 38:27 | 38 | 8 | 2 | 0 | 22:9 | 26 | 3 | 3 | 4 | 16:18 | 12 |
| 5 | ქსანთი ქსანთი (8) | 1:2 | 1:1 | 1:2 | 1:0 | | 1:0 | 4:1 | 3:1 | | 4:2 | : | | 3:0 | 2:0 | 20 | 9 | 6 | 5 | 29:19 | 33 | 7 | 1 | 2 | 21:9 | 22 | 2 | 5 | 3 | 8:10 | 11 |
| 6 | არისი სალონიკი (7) | | 07.04 | 0:0 | 2:3 | 1:1 | | 1:1 | | 1:0 | 1:0 | 1:0 | 4:2 | : | 1:1 | 20 | 7 | 7 | 6 | 22:21 | 28 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| 7 | ირაკლისი სალონიკი (5) | 1:1 | 3:2 | 2:1 | 3:1 | 1:1 | | | | : | 2:0 | 3:0 | 0:0 | 1:1 | 07.04 | 20 | 7 | 7 | 6 | 25:26 | 28 | 5 | 4 | 0 | 16:7 | 19 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| 8 | პანიონიოსი პანიონიოსი (9) | 3:1 | 2:6 | 2:2 | 1:1 | 07.04 | 1:0 | 0:1 | | 1:1 | : | 2:2 | | 2:2 | 2:0 | 20 | 6 | 8 | 6 | 28:29 | 26 | 3 | 5 | 2 | 16:16 | 14 | 3 | 3 | 4 | 12:13 | 12 |
| 9 | ოფი კრეტა (11) | 1:1 | 0:1 | 0:1 | 07.04 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 0:0 | | | 4:0 | 2:0 | 1:0 | 2:2 | 20 | 7 | 5 | 8 | 23:25 | 26 | 4 | 3 | 4 | 12:8 | 15 | 3 | 2 | 4 | 11:17 | 11 |
| 10 | ეგალეო (დ) | 3:4 | 1:3 | | 2:1 | 31.03 | 0:0 | 2:1 | 0:1 | 0:0 | | 2:2 | 1:0 | | 2:1 | 20 | 5 | 4 | 11 | 22:38 | 19 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 15 | 1 | 1 | 8 | 9:25 | 4 |
| 11 | იონიკოსი ნიკეა პირეასი (6) | 0:2 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | | 31.03 | 2:1 | | 20 | 3 | 7 | 10 | 15:36 | 16 | 2 | 5 | 3 | 9:12 | 11 | 1 | 2 | 7 | 6:24 | 5 |
| 12 | ეთნიკოსი პირეუსი (10) | 2:4 | 2:0 | | : | 0:0 | 2:2 | 1:2 | 0:2 | 2:3 | 07.04 | 1:0 | | 2:1 | 1:1 | 20 | 3 | 5 | 12 | 16:33 | 14 | 3 | 3 | 4 | 13:15 | 12 | 0 | 2 | 8 | 3:18 | 2 |
| 13 | აკრატიტოსი (დ) | 2:3 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 0:1 | 31.03 | 1:4 | 1:2 | 0:1 | | 1:0 | | 3:1 | 20 | 3 | 4 | 13 | 17:31 | 13 | 3 | 1 | 7 | 11:15 | 10 | 0 | 3 | 6 | 6:16 | 3 |
| 14 | პანაჩაიკი პატრა (13) | | 0:1 | 0:0 | 3:3 | 1:3 | 31.03 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 5:3 | 0:2 | 0:0 | 1:1 | | 20 | 1 | 9 | 10 | 19:42 | 12 | 1 | 6 | 4 | 13:17 | 9 | 0 | 3 | 6 | 6:25 | 3 |

## ბელგია. პირველი დივიზიონი. 2001-02. XXVIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.03.02 | 23.30 | 217 | 1:1შარლერუა; ლომელი2:0; 1:1გენკი **ანდერლეხტი** V **სტანდარდი** ლუვიე1:2; 0:0ანტვერპენი; ბევერენი4:1 | 1,55 | 3,3 | 6,0 | | | | 0:1 | 1:1 0:0 | 0:0 2:0 | 0:1 6:0 |
| 23.03.02 | 23.00 | 218 | 5:1ლომელი; გენტი2:1; ანდერლეხტი1:1 **გენკი** V **შარლერუა** ანდერლეხტი1:1; 1:2ლუვიე; ანტვერპენი5:0 | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,9 | 3,2 | 2,6 | 3:0 | 2:1 1:2 | 1:2 1:2 | 1:1 2:1 |
| 23.03.02 | 23.00 | 220 | 0:2მოლენბეკი; სტანდარდი0:0; 0:5შარლერუა **ანტვერპენი** V **სენტ ტრუიდენი** ბევერენი4:2; 1:0ლოკერენი; ვესტერლო2:0 | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | 1:3 | 2:0 1:1 | - | - |
| 23.03.02 | 23.00 | 221 | 2:4სენტ ტრუიდენი; მოლენბეკი1:3; 1:4სტანდარდი **ბევერენი** V **მუსკრონი** ლოკერენი4:0; 2:0ვესტერლო; 2:2ბეერსხოტი | 3,8 | 3,3 | 1,75 | | | | 0:3 | 0:0 0:0 | 0:3 1:1 | 1:4 0:1 |
| 23.03.02 | 23.00 | 222 | 0:4მუსკრონი; სენტ ტრუიდენი0:1; 0:1მოლენბეკი **ლოკერენი** V **ვესტერლო** 1:1ბეერსხოტი; მუსკრონი0:2; 0:2სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,4 | 5,0 | | | | 1:0 | 1:1 2:0 | 3:3 0:0 | 3:4 3:0 |
| 23.03.02 | 23.00 | 223 | 3:2გენტი; აალსტი3:1; 1:3ბრიუგე **ლიერსი** V **ლომელი** გენკი1:5; 0:2ანდერლეხტი; ლუვიე3:0 | 1,95 | 3,2 | 3,4 | | | | 2:2 | - | 4:0 0:1 | 2:1 0:0 |
| 24.03.02 | 18.00 | 224 | 1:1აალსტი; ბეერსხოტი3:2; ლიერსი3:1 **ბრიუგე** V **გენტი** ლიერსი2:3; 1:2გენკი; ანდერლეხტი2:2 | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | 2:2 | 6:2 2:0 | 1:3 0:2 | 4:0 1:0 |
| 24.03.02 | 18.00 | 225 | ბრიუგე1:1; 1:3ლიერსი; გენკი0:0 **აალსტი** V **ბეერსხოტი** ვესტერლო1:1; 2:3ბრიუგე; მუსკრონი2:2 | 2,7 | 3,2 | 2,3 | | | | 0:4 | 0:2 2:0 | 2:3 1:2 | 5:0 0:1 |
| 24.03.02 | 23.00 | 226 | 2:1სტანდარდი; შარლერუა2:1; 0:3ლომელი **ლუვიე** V **მოლენბეკი** ანტვერპენი2:0; 3:1ბევერენი; ლოკერენი1:0 | 2,2 | 3,2 | 2,9 | | | | 0:1 | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრიუგე (2) | | 1:2 | 1:0 | | 1:3 | : | 2:4 | 2:0 | 3:2 | | 06.04 | 3:1 | 4:2 | 2:1 | 3:1 | 4:1 | 3:0 | 6:1 | 27 | 19 | 2 | 6 | 64:33 | 59 | 10 | 0 | 3 | 35:18 | 30 | 9 | 2 | 3 | 29:15 | 29 |
| 2 | გენკი (11) | 3:2 | | 1:1 | | 1:1 | 2:1 | | 2:2 | 4:4 | 06.04 | : | 4:2 | 2:0 | 5:1 | 4:2 | 2:1 | 5:0 | 5:1 | 27 | 16 | 10 | 1 | 73:35 | 58 | 9 | 4 | 0 | 40:18 | 31 | 7 | 6 | 1 | 33:17 | 27 |
| 3 | ანდერლეხტი ბრიუსელი (1) | 1:0 | 3:3 | | 4:2 | : | 2:0 | 0:0 | 06.04 | 1:0 | 2:2 | 2:1 | 2:0 | | 5:2 | 7:1 | 3:0 | 3:1 | | 27 | 15 | 9 | 3 | 60:29 | 54 | 10 | 3 | 0 | 35:12 | 33 | 5 | 6 | 3 | 25:17 | 21 |
| 4 | ექსელსიორ მუსკრონი (7) | 2:0 | 2:4 | 13.04 | | 2:0 | 0:1 | 4:0 | 3:0 | 3:1 | 4:1 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 2:0 | | 30.03 | 6:1 | 3:0 | 27 | 14 | 4 | 9 | 58:32 | 46 | 10 | 0 | 4 | 33:11 | 30 | 4 | 4 | 5 | 25:21 | 16 |
| 5 | სტანდარდი ლიეჟი (3) | 13.04 | 30.03 | 1:0 | 2:1 | | | 0:2 | 1:3 | 3:0 | 2:1 | 6:0 | 2:1 | 2:2 | 1:2 | 2:1 | 4:2 | 2:0 | 4:1 | 26 | 13 | 7 | 6 | 48:31 | 46 | 10 | 1 | 3 | 32:16 | 31 | 3 | 6 | 3 | 16:15 | 15 |
| 6 | გენტი (5) | 2:2 | 0:0 | 2:2 | 1:1 | 2:5 | | 1:1 | 4:2 | 06.04 | | | 0:0 | 4:1 | 2:1 | 2:3 | 3:3 | 30.03 | 2:1 | 27 | 12 | 8 | 7 | 47:41 | 44 | 4 | 7 | 2 | 25:22 | 19 | 8 | 1 | 5 | 22:19 | 25 |
| 7 | ლოკერენი (4) | 0:1 | 2:2 | | 2:1 | 1:1 | 0:1 | | 0:1 | 3:2 | 4:0 | 1:0 | 1:0 | : | 2:2 | 2:1 | 14.04 | 1:0 | 1:0 | 27 | 12 | 7 | 8 | 35:29 | 43 | 8 | 3 | 3 | 20:12 | 27 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| 8 | სენტ ტრუიდენი (13) | | 13.04 | 0:2 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:0 | | 2:2 | 1:2 | 2:1 | 4:3 | 2:0 | 30.03 | 0:2 | 3:1 | 3:1 | 4:2 | 27 | 12 | 4 | 11 | 40:38 | 40 | 7 | 2 | 5 | 24:20 | 23 | 5 | 2 | 6 | 16:18 | 17 |
| 9 | ჟერმინალ ბეერსხოტი ანტვერპენი (6) | 1:2 | 1:1 | 1:1 | 2:2 | : | 3:2 | 30.03 | 1:0 | | 2:2 | | 3:0 | 1:1 | 8:2 | 2:0 | : | 4:0 | 13.04 | 26 | 8 | 11 | 7 | 49:39 | 35 | 7 | 5 | 1 | 31:13 | 26 | 1 | 6 | 6 | 18:26 | 9 |
| 10 | მოლენბეკი ბრიუსელი (დ) | 2:3 | 2:5 | 30.03 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 2:2 | | 0:1 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 13.04 | 2:0 | | 3:0 | 27 | 10 | 4 | 13 | 37:46 | 34 | 5 | 2 | 7 | 17:18 | 17 | 5 | 2 | 6 | 20:28 | 17 |
| 11 | შარლერუა (9) | 0:4 | 0:3 | 1:1 | 0:2 | 0:0 | 0:3 | 1:0 | 0:3 | 1:0 | 3:1 | | | 4:2 | 2:1 | 30.03 | 5:0 | 13.04 | 1:1 | 27 | 9 | 6 | 12 | 31:47 | 33 | 6 | 3 | 5 | 18:21 | 21 | 3 | 3 | 7 | 13:26 | 12 |
| 12 | ლომელი (დ) | 31.03 | 1:5 | 2:2 | 3:2 | | 13.04 | 3:4 | 0:1 | | 1:0 | 5:1 | | 3:0 | 3:0 | 2:2 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 27 | 8 | 7 | 12 | 42:50 | 31 | 6 | 4 | 3 | 29:21 | 22 | 2 | 3 | 9 | 13:29 | 9 |
| 13 | ვესტერლო (8) | 1:4 | | 1:2 | 0:2 | 1:2 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 4:0 | 3:3 | 6:0 | | 13.04 | 5:4 | 2:1 | 0:1 | 30.03 | 27 | 8 | 6 | 13 | 43:50 | 30 | 5 | 2 | 7 | 27:23 | 17 | 3 | 4 | 6 | 16:27 | 13 |
| 14 | ლა ლუვიე (15) | 1:2 | 0:0 | 1:3 | 06.04 | 3:1 | 3:1 | | 1:0 | 1:1 | : | 2:1 | 0:0 | 3:3 | | 0:0 | | 1:3 | 3:2 | 27 | 7 | 8 | 12 | 32:50 | 29 | 5 | 5 | 3 | 19:17 | 20 | 2 | 3 | 9 | 13:33 | 9 |
| 15 | ლიერსი ლიერი (10) | 0:2 | 1:2 | 2:0 | 3:3 | 06.04 | 1:2 | 1:1 | | 1:1 | 1:2 | 1:2 | : | | 0:1 | | 2:1 | 3:1 | 3:3 | 27 | 7 | 7 | 13 | 43:52 | 28 | 3 | 4 | 6 | 19:21 | 13 | 4 | 3 | 7 | 24:31 | 15 |
| 16 | ანტვერპენი (12) | 1:2 | 3:0 | 2:2 | 2:1 | 0:0 | 2:3 | 1:1 | : | | 1:2 | 2:0 | 3:3 | 06.04 | 0:0 | 1:4 | | 2:0 | | 27 | 5 | 8 | 14 | 35:54 | 23 | 4 | 5 | 4 | 20:18 | 17 | 1 | 3 | 10 | 15:36 | 6 |
| 17 | ეენდრახტ აალსტი (16) | 1:1 | 0:0 | 1:5 | 0:5 | | 1:3 | 2:1 | | : | 2:4 | 1:1 | 07.04 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 0:0 | | 0:1 | 27 | 4 | 6 | 17 | 21:58 | 18 | 1 | 5 | 7 | 8:24 | 8 | 3 | 1 | 10 | 13:34 | 10 |
| 18 | ბევერენი (14) | 0:4 | 1:6 | 1:4 | : | 1:1 | 2:2 | 06.04 | 3:2 | 1:1 | 1:3 | 1:1 | 0:2 | 1:1 | | 1:1 | 2:3 | 0:4 | | 27 | 2 | 8 | 17 | 29:73 | 14 | 1 | 6 | 7 | 15:35 | 9 | 1 | 2 | 10 | 14:38 | 5 |

## ბელგია. მეორე დივიზიონი. 2001-02. XXIX ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.03.02 | 22.30 | 227 | რუზელარე3:1; 1:0სტრომბეეკი; ვირტონი2:0 **მონსი** V **ტიენენი** ინგელმუნსტერი0:1; ფლაანდერენი0:1; 2:2გეელი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | 1:1 | 0:0 2:0 | - | - |
| 23.03.02 | 23.00 | 229 | 1:4ვიზე; 0:1ლიეჟი; რონსი3:0 **პატრო** V **დაინცე** ლიეჟი1:1; მეხელენი0:0; 2:0ვიზე | 2,1 | 2,9 | 3,2 | | | | 0:1 | 5:1 0:1 | 0:0 0:0 | - |
| 23.03.02 | 23.00 | 230 | 0:0დაინცე; ლიეჟი5:2; 4:1რონსი **მეხელენი** V **ვირტონი** რონსი0:0; ვიზე1:1; 0:2მონსი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1,8 | 3,2 | 2,8 | 3:0 | - | - | - |
| 23.03.02 | 23.00 | 232 | 0:0გეელი; დენდერლეეუ2:0; 1:1ტიენენი **ჰეუსდენი** V **ინგელმუნსტერი** 1:0ტიენენი; დენდერლეეუ0:0; 1:5სერკლი | 2,3 | 3,0 | 2,7 | | | | 2:1 | 0:3 3:2 | - | - |
| 23.03.02 | 23.00 | 233 | 0:2ფლაანდერენი; 1:0დესელი; ინგელმუნსტერი5:1 **სერკლი** V **რონსი** 0:0ვირტონი; რუზელარე1:1; 0:3პატრო | 1,55 | 3,2 | 5,6 | | | | 1:1 | - | - | - |
| 24.03.02 | 18.00 | 234 | 1:3მონსი; 1:1რონსი; დესელი1:1 **რუზელარე** V **ლიეჟი** 1:1დაინცე; პატრო1:0; 2:5მეხელენი | 2,0 | 2,9 | 3,4 | | | | 0:0 | 2:0 3:1 | - | - |
| 24.03.02 | 18.00 | 235 | პატრო4:1; 1:1ვირტონი; დაინცე0:2 **ვიზე** V **სტრომბეეკი** დესელი2:0; მონსი0:1; 0:1ფლაანდერენი | 2,1 | 3,0 | 3,1 | | | | 2:3 | - | - | - |
| 24.03.02 | 18.00 | 236 | სერკლი2:0; 1:0ტიენენი; სტრომბეეკი1:0 **ფლაანდერენი** V **გეელი** დენდერლეეუ3:1; ჰეუსდენი0:0; ტიენენი2:2 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | 1:0 | - | - | - |
| 24.03.02 | 18.00 | 237 | 1:3გეელი; 0:0ინგელმუნსტერი; 0:2ჰეუსდენი **დენდერლეეუ** V **დესელი** 0:2სტრომბეეკი; სერკლი0:1; 1:1რუზელარე | 2,4 | 2,9 | 2,8 | | | | 1:5 | 2:2 2:2 | 0:2 2:0 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეხელენი (დ) | | 3:0 | 2:3 | | 1:0 | 2:0 | 2:0 | 2:2 | 5:2 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 3:1 | | 1:0 | : | 28 | 17 | 9 | 2 | 52:18 | 60 | 10 | 3 | 1 | 29:11 | 33 | 7 | 6 | 1 | 23:7 | 27 |
| 2 | ინგელმუნსტერი (6) | 2:1 | | 2:0 | 2:1 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 3:0 | | | 3:0 | 2:0 | 1:1 | 28 | 16 | 6 | 6 | 40:25 | 54 | 10 | 4 | 1 | 23:7 | 34 | 6 | 2 | 5 | 17:18 | 20 |
| 3 | მონსი (4) | | 2:3 | | | 2:2 | | 1:0 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 4:2 | 3:0 | : | 3:0 | 2:0 | 28 | 15 | 7 | 6 | 46:28 | 52 | 10 | 2 | 1 | 29:10 | 32 | 5 | 5 | 5 | 17:18 | 20 |
| 4 | ზუიდ ვესტ ფლაანდერენი (დ) | 1:1 | 2:1 | 2:1 | | 1:1 | | 2:0 | 1:2 | 2:0 | : | 1:0 | 2:1 | | 1:3 | 0:0 | 2:0 | | 1:0 | 28 | 14 | 7 | 7 | 36:29 | 49 | 8 | 3 | 2 | 18:10 | 27 | 6 | 4 | 5 | 18:19 | 22 |
| 5 | დესელ სპორტი (12) | 0:1 | | 2:2 | 0:1 | | 1:3 | 0:1 | 3:0 | | 0:2 | 5:2 | 5:1 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 3:1 | 3:0 | 3:0 | 28 | 12 | 8 | 8 | 49:29 | 44 | 8 | 2 | 5 | 32:17 | 26 | 4 | 6 | 3 | 17:12 | 18 |
| 6 | ჰეუსდენ ზოლდერი (11) | 1:1 | : | 1:1 | 5:0 | | | 1:1 | 1:3 | 2:1 | 1:1 | 0:2 | 2:0 | | 4:1 | 1:1 | 0:3 | 0:0 | 1:1 | 28 | 10 | 13 | 5 | 40:28 | 43 | 4 | 7 | 3 | 20:16 | 19 | 6 | 6 | 2 | 20:12 | 24 |
| 7 | სერკლ ბრიუგე (7) | 1:1 | 5:1 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 2:2 | | 0:0 | 1:1 | 2:0 | | 2:0 | 1:2 | | : | 0:0 | 2:0 | 2:1 | 28 | 10 | 11 | 7 | 31:23 | 41 | 7 | 6 | 1 | 21:8 | 27 | 3 | 5 | 6 | 10:15 | 14 |
| 8 | რუზელარე (8) | 0:0 | 1:3 | 0:1 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:1 | | : | 0:0 | 4:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 3:0 | | 6:1 | | 28 | 8 | 12 | 8 | 36:32 | 36 | 4 | 6 | 4 | 18:12 | 18 | 4 | 6 | 4 | 18:20 | 18 |
| 9 | ლიეჟი (16) | 1:3 | | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:2 | | 0:0 | | 2:1 | 1:0 | 0:0 | 1:2 | 2:1 | | 0:0 | 1:0 | 3:2 | 28 | 9 | 9 | 10 | 29:33 | 36 | 7 | 4 | 3 | 14:11 | 25 | 2 | 5 | 7 | 15:22 | 11 |
| 10 | ვერბროედერინგ გეელი (5) | | 0:3 | | 0:1 | 2:4 | 0:0 | 2:0 | | 2:0 | | 3:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 1:4 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 28 | 9 | 7 | 12 | 34:38 | 34 | 7 | 3 | 4 | 21:17 | 24 | 2 | 4 | 8 | 13:21 | 10 |
| 11 | სტრომბეეკი (10) | | 1:0 | 0:1 | 1:2 | 2:0 | 0:3 | 1:1 | | 1:3 | 2:1 | | | 3:2 | 2:2 | 3:1 | 3:1 | 1:2 | 1:0 | 28 | 9 | 6 | 13 | 34:45 | 33 | 7 | 2 | 5 | 21:19 | 23 | 2 | 4 | 8 | 13:26 | 10 |
| 12 | დენდერლეეუ (9) | 0:2 | 1:0 | 2:1 | 0:0 | : | 0:0 | 1:0 | 1:0 | | 1:0 | 1:1 | | 0:1 | 2:2 | 1:2 | 2:0 | 0:1 | | 28 | 8 | 8 | 12 | 22:32 | 32 | 6 | 4 | 4 | 12:10 | 22 | 2 | 4 | 8 | 10:22 | 10 |
| 13 | ვიზე (დ) | 0:3 | 1:1 | | 3:1 | 1:1 | 2:3 | 0:1 | 2:3 | 0:2 | | : | 1:1 | | 0:2 | 1:0 | 1:0 | 4:1 | 1:1 | 28 | 9 | 5 | 14 | 32:45 | 32 | 4 | 4 | 6 | 17:20 | 16 | 5 | 1 | 8 | 15:25 | 16 |
| 14 | დაინცე (15) | 0:0 | 1:2 | 1:3 | 2:2 | | 0:3 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 3:1 | | 2:0 | | 0:0 | 3:0 | 1:0 | 0:2 | 27 | 6 | 10 | 11 | 34:42 | 28 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 18 | 2 | 4 | 7 | 18:26 | 10 |
| 15 | რონსი (დ) | 1:4 | 0:1 | 1:1 | 2:2 | | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:4 | 1:1 | | 4:2 | : | | 0:0 | 4:0 | 1:0 | 28 | 5 | 13 | 10 | 28:40 | 28 | 3 | 8 | 3 | 17:18 | 17 | 2 | 5 | 7 | 11:22 | 11 |
| 16 | ტიენენი (13) | 0:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 1:4 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 2:2 | | 3:2 | 2:1 | | | 0:2 | 28 | 5 | 11 | 12 | 28:42 | 26 | 4 | 6 | 4 | 17:18 | 18 | 1 | 5 | 8 | 11:24 | 8 |
| 17 | პატრო მაასმეხელენი (14) | 0:3 | 1:1 | 0:1 | 3:0 | 0:2 | 1:0 | 0:3 | 4:3 | 1:1 | | | 0:1 | 2:4 | : | 3:0 | 3:2 | | 1:1 | 28 | 7 | 4 | 17 | 25:52 | 25 | 5 | 3 | 6 | 19:22 | 18 | 2 | 1 | 11 | 6:30 | 7 |
| 18 | ექსელსიორ ვირტონი (დ) | 0:3 | | 1:1 | 0:5 | 0:2 | 1:1 | | 1:2 | 1:0 | 4:1 | 1:2 | 1:2 | 1:1 | : | 0:0 | 2:2 | | | 27 | 4 | 10 | 13 | 25:40 | 22 | 2 | 5 | 6 | 13:22 | 11 | 2 | 5 | 7 | 12:18 | 11 |


# გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო

## გორი. ცხინვალის გზატკეცილი №11 (წმინდაწყლის დასახლება)

# ჩვენი თემური ჩვენთან...

## 34 წლის ქეცბაიას დღეობაზე კონტრაქტი მიართვეს

**თემურ ქეცბაია** გუშინწინ 34 წლის გახდა და „დანდიმაც“ თავის ვებ-გვერდზე იუბილარს გულითადად მიულოცა, მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ კი თქვა: სეზონის ბოლოს ქეცბაიას ჩვენთან კონტრაქტი უმთავრდება, მაგრამ შევეცდებით ახალი ხელშეკრულება შევთავაზოთ და გუნდში დავტოვოთ, ის „დანდისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელიაო.

ქეცბაია ბოლო დროს მართლაც ჩინებულ ფორმაშია, გოლებიც გააქვს და გონივრულ შეტევებსაც ხშირად იწყებს. ბოლო სამ მატჩში სამი ბურთი გაიტანა, ერთი „აბერდინთან“, ორიც „მოზერუელთან“ და თავისი შოტლანდიური მონაგარი ექვს გოლამდე გაზარდა. ასე რომ, სოლიდური საფეხბურთო ასაკის მიუხედავად, ქეცბაია კვლავაც ბევრისთვის სასურველ მოთამაშედ რჩება.

წინა უქმეებზე კიდევ რამდენიმე ქართველი გამოირჩა. როგორც იქნა, ნავსი გატეხა მიხეილ ყაველაშვილმა. მიშას ხან ტრავმა აწუხებდა, ხან თამაში არ მისდიოდა და თითქმის ოთხი თვე აღარ გაეტანა, არადა, შვეიცარიის ჩემპიონატი დიდებულად დაიწყო და ერთი ხანობა ბომბარდირთა სიასაც მეთაურობდა. ასეა თუ ისე, მშრალი დროება გასულ შაბათს ჩაბარდა, „ციურიხმა“ „სენტ გალენს“ ყაველაშვილის გოლით მოუგო. გოჩა ჯამარაული კი „ციურიხმა“ „ლუცერნში“ გაანათხოვრა და ქართველმაც სადებიუტო მატჩშივე გაიტანა. „ქსამაქსთან“ გოჩამ დასაწყისშივე დააწინაურა ახალი პარტნიორები, მერე გიანიმ მეორეც შეაგდო, მაგრამ ბოლო წუთზე სტუმრებმა ზედიზედ ორჯერ მოარტყეს მიზანში და თამაშიც მოულოდნელი ფრით დამთავრდა.

იტალიაში თავისი მესამე სერიული გოლი მიითვალა კახა კალაძემ. „ტორინოსთან“ საშინაო მატჩში ცაციათი ეფექტური დარტყმით გახსნა ანგარიში და ტრიბუნების აღფრთოვანებაც დაიმსახურა. ის თამაში „მილანმა“ 2:1 მოიგო, თუმცა მეექვსე ადგილიდან არ დაძრულა. მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კი თქვა, ახლა ჩვენი მთავარი მიზანი მეოთხე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლააო.

გერმანიაში „ფრაიბურგმა“ კიდევ ერთი სირცხვილი ჭამა. მეორეადგილოსან „დორტმუნდს“ თავიდან კობიაშვილის ჩინებულად შესრულებული საჯარიმოთი უგებდა, მაგრამ მალევე სტუმართა ბრაზილიელმა ევანილსონმა გაათანაბრა, ხოლო მეორე ტაიმში „ბორუსიამ“ საკვირველი ამბები დაატრიალა, ექვს წუთში ოთხი ბურთი გაიტანა და ფოლკერ ფინკეს გუნდი კვლავაც უქულოდ დატოვა. „ფრაიბურგს“ 26 იანვრის მერე, უკვე რვა ტურია აღარ გაუმარჯვია და ისევ ბოლოდან მესამე ადგილზეა. ახლა ერთადერთი, რითაც ფინკეს შეუძლია თავი დაიმშვიდოს ის არის, რომ ლიდერებთან შეხვედრები მოლეული აქვთ და დარჩენილ შვიდ მატჩში შედარებით სუსტი მოწინააღმდეგეები ეყოლებათ, აქედან სამი — „მიონხენგლადბახი“, „კოტბუსი“ და „კიოლნი“ უშუალო კონკურენტები არიან. სხვა საქმეა, ასეთი ხანგრძლივი ჩავარდნის დანატოვარს გუნდი ფსიქოლოგიურად როგორ მოერევა.

ჩემპიონატი განახლდა უკრაინაშიც. სამი ქართველის „ტავრიამ“ შინ დონეცკის „მეტალურგთან“ 1:3 წააგო და ეს ერთადერთი ბურთი გოჩა ტრაპაიძემ გაიტანა. ზაპოროჟიეში კი ლევან მიქაძის „არსენალი“ იქაურ მეტალურგებთან დამარცხდა. სხვათა შორის, მასპინძელთა გუნდში პირველად ითამაშა ჭაბუკმა ირაკლი მოდებაძემ, რომელიც უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, ზაპოროჟიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მაყურებელსაც უმალ მოაწონა თავი.

საბერძნეთში კი ლევან ქობაძის „ირაკლისს“ რაღაც უიღბლობა დასჩემდა. ბოლო ორი თამაშია თავიდან იგებს, მაგრამ მერე მოწინააღმდეგის დაწოლას ვეღარ უძლებს და მარცხდება. ასე იყო „ოლიმპიაკოსთან“ ქვეყნის თასის პირველ ნახევარფინალში, ირაკლისელები ფოფონკას და ქობაძის გოლებით დაწინაურდნენ, თუმცა შემდეგ ჯერ კუცურესმა შეაგდო საკუთარ კარში, ბოლოსკენ კი ვინმე ალექსანდრისმა ორჯერ ზუსტი თავური დაარტყა და „ოლიმპიაკოსმა“ 3:2 მოიგო.

შაბათს უკვე ჩემპიონატის მატჩში გამეორდა ისტორია. „ირაკლისი“ რაბერტის გოლით თითქმის მთელი თამაში უგებდა „პანათინაიკოსს“, მაგრამ ისევ ბოლოსკენ ხორვატმა ვლაოვიჩმა და შავმა პოლონელმა ოლისადებემ ქობაძე და კომპანია უქულოდ დატოვეს.

**სოლომონ გულისაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

**HAPPY BIRTHDAY - TEMURI TO BE OFFERED NEW DEAL**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 1:5 | 67 | შეცვალეს | 27 | 5 | 16 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 1:5 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 25 | 3 | 16 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 1:5 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 22 | 1 | 16 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 1:5 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 16 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 1:5 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ჰანზა 4:2 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 18 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | დუისბურგი 2:1 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 2 |
| | | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი კინქლაძე | დერბი | ს | ბოლტონი 3:1 | 81 | შეცვალეს | 17 | 1 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ტოტენჰემი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| | ჩელსი | შ | სანდერლენდი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ლივინგსტონი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 9 |
| | დანდი | შ | მოზერუელი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 8 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ლივინგსტონი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 0 | 9 |
| | დანდი | შ | მოზერუელი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 0 | 8 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | შ | ლივინგსტონი 2:0 | 90 | | 20 | 4 | 9 |
| | დანდი | შ | მოზერუელი 2:0 | 90 | 2 გოლი | 21 | 6 | 8 |
| | | | **შოტლანდია. ლიგის თასის ფინალი** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | 6 | ეარი 4:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 3 | 3 | |
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ტორინო 2:1 | 90 | 1 გოლი | 23 | 3 | 6 |
| | | | **ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ვიტესი 0:0 | 45 | შეცვალეს | 20 | 2 | 3 |
| | | | **ბელგია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | გენტი 3:2 | 90 | | 20 | 0 | 15 |
| | | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სენტ გალენი 1:0 | 90 | 1 გოლი | 19 | 11 | 7 |
| | | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ლუცერნი | შ | ქსამაქსი 2:2 | 85 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | 8 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ვილი 2:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 5 |
| | | | **ავსტრია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რაპიდი 1:0 | 0 | სათადარიგო | 5 | 1 | 2 |
| | | | **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | შ | ესბიერგი 6:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 4 | 0 | 2 |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| დავით ქოქაშვილი | სპარტაკი | შ | შინიკი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| | სპარტაკი | ს | კრილია 2:0 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | ლოკომოტივი | ს | ურალანი 0:0 | 60 | შეცვალეს | 2 | 0 | 6 |
| | ლოკომოტივი | შ | სატურნი 2:0 | 17 | შეცვლაზე ითამაშა, საგ.პასი | 3 | 0 | 3 |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ურალანი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| | ლოკომოტივი | შ | სატურნი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | ურალანი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| | ლოკომოტივი | შ | სატურნი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | კრილია 1:4 | 90 | 1 გოლი | 2 | 1 | 15 |
| | ალანია | ს | შინიკი 0:2 | 90 | | 3 | 1 | 16 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | სატურნი 0:2 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| | როსტსელმაში | შ | ურალანი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ზილ 1:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 8 |
| | ტორპედო | შ | დინამო 2:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 5 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | დინამო 0:2 | 75 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| | ანჟი | შ | ზილ 0:0 | 90 | | 2 | 0 | 7 |
| | | | **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:3 | 90 | 1 გოლი | 13 | 2 | 12 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:3 | 90 | | 13 | 4 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:3 | 53 | შეცვალეს | 12 | 1 | 12 |
| ლევან მიქაძე | არსენალი | ს | მ. ზაპოროჟია 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 0 | 10 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | შ | არსენალი 2:0 | 65 | შეცვალეს | 1 | 0 | 5 |
| | | | **პოლონეთი. პლეი ოფი** | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ამიცა 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 0 | 8 |
| | | | **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | მტკ 4:3 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 1 | 7 |
| | | | **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | პანათინაიკოსი 1:2 | 90 | | 9 | 1 | 7 |
| | | | **საბერძნეთი. თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩი** | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | ოლიმპიაკოსი 2:3 | 90 | 1 გოლი | 4 | 3 | |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში




„სენტ გალენთან“ მიხეილ ყაველაშვილმა (მარჯვნივ) ნავსი გატეხა

# ჯამარაულის ციურიხი ლუცერნშია

შვეიცარიული „ციურიხი“ ქართველ ნახევარმცველ გოჩა ჯამარაულს ზაფხულამდე დაემშვიდობა. კონტრაქტის ვადის გასრულებამდე ჩვენებური „ლუცერნში“ გაანათხოვრა, გუნდში, რომელიც ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად იბრძვის და ამჟამად ბოლო ადგილზეა.

მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც „ციურიხმა“ შვეიცარიის ჩემპიონატის რვა საუკეთესოს შორის ადგილი დაიბევა და გავარდნის საფრთხე აირიდა, მწვრთნელებმა ჯამარაულს თამაშის საშუალება არ მისცეს. კონტრაქტის გაგრძელებას მაინც არ აპირებ, ჩვენ კი სამომავლო შემადგენლობის შეთამაშება გვსურსო, უთხრეს გოჩას და ჩემპიონატის განახლების შემდეგ თამაში არ აღირსეს. ჩვენებურს შეეძლო, სეზონის ბოლომდე ფეხი ფეხზე გადაედო და „ციურიხიდან“ კუთნილი ჯამაგირი მაინც აეღო, მაგრამ უთამაშებლობა ხომ ფეხბურთელისთვის დამღუპველია და გოჩამაც ფორმის შესანარჩუნებლად მიაშურა აუტსაიდერ „ლუცერნს“, მით უმეტეს, ამ გუნდს მისი დახმარებით უძლიერესთა შორის დარჩენის იმედი აქვს.

— ფაქტობრივად, ორი თვის უთამაშებელი ვიყავი და კიდევ რომ ასე გაგრძელებულიყო, ვფიქრობ, ბევრი დამაკლდებოდა — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა, რომელსაც შვეიცარიაში დავუკავშირდით — ახლა, სხვა თუ არაფერი, სათამაშო პრაქტიკა მექნება. ფორმას შევინარჩუნებ და ზაფხულიდან ახალ კლუბზე ვიფიქრებ.

**— გამორიცხულია, რომ „ლუცერნში“ დარჩე?**

— კი, გამორიცხულია.

**— რატომ?**

— „ლუცერნი“ არ არის იმ დონის გუნდი, მე რომ მაკმაყოფილებს, თანაც ცალი ფეხით უკვე მეორე დივიზიონშია. „ლუცერნის“ ხელმძღვანელებთან შეთანხმებული ვარ, რომ გუნდში მაისამდე დავრჩები.

**— მერე?**

— ვნახოთ. იმედია, ჩემი გადაბირების მსურველი ძლიერი გუნდი გამოჩნდება. „ციურიხისთვის“ მხოლოდ საკომპენსაციო თანხა იქნება გადასახდელი.

**— „დანდიდან“ ხომ არ დაგკავშირებიან?**

— ახალი ჯერ არაფერია, თუმცა, ვიცი, რომ „დანდის“ ჩემი ინტერესი კვლავ აქვს.

**— სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრებში გამოგიძახეს?**

— მოწვევა უკვე მივიღე და უახლოეს დღეებში თბილისში ვიქნები.

**კობა ინასარიძე**



გოჩა ჯამარაული

## ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

ფინალური ეტაპი. დანია. 27 აპრილი — 10 მაისი

# ლაუდრუპმა საქართველოს გერმანია ამოუღო

**გუშინ** დანიურ კოპენჰაგენში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა მოეწყო. 16 რჩეულს შორის საქართველოს ნაკრებიც მოხვდა. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა ქვეჯგუფში ბოსნიის და ისრაელის ძლევით შეძლო ფინალურ ეტაპზე გასვლა. კენჭისყრა „პარკენის“ სტადიონზე გაიმართა. ცერემონიალს უეფას ახალგაზრდული და სამოყვარულო კომიტეტის თავმჯდომარე პატ კიგლი და მიქაელ ლაუდრუპი უძღვებოდნენ.

გათამაშების ფორმატი მარტივია — ოთხი ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გავა მეოთხედფინალში და შემდეგ გათამაშება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება. ქართველი 17-წლამდელები D ჯგუფში მოხვდნენ გერმანიასთან, უნგრეთთან და პოლონეთთან. ჟორჟიკაშვილის ბიჭები პირველ მატჩს ჯგუფის ფავორიტ გერმანელებთან გამართავენ 28 აპრილს, ჩემპიონატი კი ერთი დღით ადრე დანია — ჰოლანდიის მატჩით გაიხსნება.

ქართველთა შანსები ერთი შეხედვით მოკრძალებული ჩანს. ბევრის მოსაზრებით, D ჯგუფის ფავორიტები გერმანელები და პოლონელები არიან. გერმანიამ ქვეჯგუფში რუსეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ჩამოტოვება შეძლო, პოლონელებმა კი ღილინ-ღილინით დაძლიეს ნორვეგიის, ისლანდიის და ესტონეთის ბარიერი და სამ მოგებულ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს გატანილი შვიდის სანაცვლოდ. ამ ორის კვალობაზე ნაკლები შანსი აქვს უნგრეთს, თუმც ჩვენთვის ეს გუნდიც არაა ხელწამოსაკრავი. მით უფრო, რომ ქვეჯგუფში ფავორიტი ხორვატია ჩამოიტოვა ბურთების უკეთესი სხვაობით. მოკლედ, ქართველებს სერიოზული გამოცდა ელით.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები 2003 წლის ევრო-აფრიკულ, ეგრეთ წოდებულ „მერიდიანის“ ჩემპიონატზე ითამაშებენ ეგვიპტეში.

დანიაში ფავორიტად ესპანელებს მიიჩნევენ. ამ ქვეყნის ჩვიდმეტწლამდელები ჩემპიონების რანგში ჩავლენ სკანდინავიაში. ესპანელებმა შარშან საფრანგეთი დაამარცხეს ფინალურ მატჩში.

**ბაატა ძვანტალიანი**

| A ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| დანია | გერმანია |
| ჰოლანდია | **საქართველო** |
| ფინეთი | უნგრეთი |
| ინგლისი | პოლონეთი |

| B ჯგუფი |
|---|
| შვეიცარია |
| უკრაინა |
| პორტუგალია |
| საფრანგეთი |

| C ჯგუფი |
|---|
| ესპანეთი |
| ჩეხეთი |
| მოლდოვა |
| იუგოსლავია |

*28 აპრილი. სლაგელსი*
გერმანია — **საქართველო**
*როსკილდე*
უნგრეთი — პოლონეთი
*30 აპრილი. როსკილდე*
**საქართველო** — პოლონეთი
*სლაგელსი*
გერმანია — უნგრეთი
*2 მაისი. როსკილდე*
**საქართველო** — უნგრეთი
*ნესტველი*
პოლონეთი — გერმანია

**მეოთხედფინალი**

*4 მაისი. ჰვიდოვრე*
**1. A1 - C2**
*ლუნგბიუ*
**2. C1 - A2**
*5 მაისი. სლაგელსი*
**3. B1 - D2**
*ნესტველი*
**4. D1 - B2**

**ნახევარფინალი**

*7 მაისი. ჰერფიოლგე*
**1 - 3**
*ვიალბი*
**2 - 4**

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

*10 მაისი. გლადსაქსი*

**ფინალი**

*10 მაისი. ფარუმი*

*კენჭისყრის შემდეგ დავუკავშირდით საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ*



— რა უნდა გითხრათ. მარტო ის ფაქტი, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ, ვფიქრობ, წარმატებული შედეგია. თუმცა ამაზე არ უნდა გავჩერდეთ. ძალიან ძლიერ ჯგუფში კი მოვხვდით.

**— ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

— რა თქმა უნდა, გერმანია. მათთან ნათამაშებიც გვაქვს, ოღონდ ერთი წლით უფროსებთან. შარშან თებერვალში გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას შევხვდით და 0:3 დავმარცხდით. ასე რომ, გერმანელები აშკარა ფავორიტებად მიმაჩნია. თუმცა პოლონეთის დავიწყებაც არ შეიძლება. მათ ჯგუფში ყველა თამაში მოიგეს და უპრობლემოდ დაიკავეს პირველი ადგილი. თანაც პოლონური ფეხბურთი ახლა აღმავლობის გზაზეა. ერთი სიტყვით, საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვერგო.

**— უნგრეთი?**

— უნგრეთზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. მათ შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცი.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი ვინ იყო კენჭისყრაზე?**

— ფედერაციამ ცნობილ დანიელ ფეხბურთელ პრებენ ელკიაერ-ლარსენს სთხოვა და სწორედ ის იყო ჩვენი წარმომადგენელი.

**— ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ალბათ, საწვრთნელ შეკრებაზე წახვალთ.**

— დიახ. აპრილის დამდეგს ესპანეთს გავემგზავრებით. ჯერჯერობით ზუსტი თარიღი დადგენილი არაა. ესპანეთიდან გერმანიას მივაშურებთ, სადაც რამდენიმე დღით კიდევ მოვემზადებით და დანიასაც იქიდან ვეწვევით.

**— ამჟამად გუნდი სად ვარჯიშობს?**

— ეროვნული სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე. ცოტა ძნელი კი არის ხელოვნურზე ვარჯიში. ცხადია, უკეთესი იქნება, მინდორზე მოვემზადოთ, მაგრამ რას ვიზამთ, მეტი საშუალება არაა. ბიჭები მონდომებით ვარჯიშობენ. საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს. ფინალურ ეტაპზე წამსვლელთა ვინაობას კი ესპანეთში გამგზავრებამდე გამოვაცხადებთ.

**ბახა შალამბერიძე**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# შვეიცარია ორ ფრონტზე ბრძოლას შვედეთით იწყებს

**ევრო 2004-ის** შესარჩევ ეტაპს საქართველოს ნაკრები შვეიცარიით იწყებს. შინდისფერები 7 სექტემბერს ითამაშებენ სტუმრად. იქამდე ჯერაც დიდი დროა, მაგრამ ქართველების მსგავსად შვეიცარიელებიც მოკლებულნი არიან კარს მომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ბედნიერებას და მთელი ყურადღება ევროპის ჩემპიონატისკენ აქვთ მიმართული. საამისოდ კი, ბუნებრივია, საკონტროლო მატჩების განრიგზეც იზრუნეს. შვედეთი, კანადა, ავსტრია — ქართველებამდე ამ ნაკრებებთან გამოცდის თავს ჩვენი მომავალი მეტოქე.

27 მარტს საქართველო რომ სამხრეთ აფრიკას უმასპინძლებს, შვეიცარიელები შვედებს ესტუმრებიან. მომდევნო საკონტროლო მატჩს კი იაკობ კუნის შეგირდები შინ გამართავენ კანადასთან. მოსამზადებელ ეტაპს ჩვენი თანაქვეჯგუფელები 21 აგვისტოს ჩაამთავრებენ ბაზელში ავსტრიის ნაკრებთან მატჩით. სხვათა შორის, ამ შეხვედრას ორმაგი დატვირთვაც აქვს. მოგეხსენებათ, შვეიცარიელები ავსტრიასთან ერთად ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის თანამასპინძლობას გეგმავენ და ეს მატჩი ერთგვარი სარეკლამო კამპანიის ნაწილიცაა.

შვეიცარია-ავსტრიის პერსპექტივას ურიგო არ ეთქმის. უეფა ამთავითვე სერიოზულად განიხილავს 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძელთა კანდიდატურებს და სპეციალისტთა აზრით, შვეიცარია-ავსტრიას წარმატების კარგი შანსი აქვს (ფიფას თავკაცის იოზეფ ბლატერის წარმომავლობაც არ დაგავიწყდეთ).

ასე რომ, ერთბაშად ორ ევროპის ჩემპიონატზე ფიქრობენ შვეიცარიელები და კანადასთან მატჩის შემდეგ უეფას ემისართა ოთხდღიანი მასპინძლობაც მოუწევთ. სტუმრები შვეიცარიულ სტადიონებს დაათვალიერებენ და მსგავსი ვიზიტით მერე ავსტრიაში გადაინაცვლებენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

# რუსებმა ტალინში გაგვასწრეს



დმიტრი სიჩევი

**27 მარტს,** ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს ეროვნული ნაკრები სამსოფლიოსჩემპიონატოდ გამზადებულ სამხრეთ აფრიკას ამხანაგურად გაეჯიბრება, თუმც „შინდისფერთა“ მწვრთნელებს ცალი თვალი, ალბათ, ტალინისკენაც ექნებათ მიპყრობილი. საქმე ისაა, რომ რუსეთის ნაკრები მორიგ საკონტროლო მატჩში მასპინძელთა ეროვნულ გუნდს შეხვდება. ჩვენი „უფროსი ძმა“ კი, მოგეხსენებათ, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს თანაჯგუფელია.

წლეულს რუსებმა ერთხელ უკვე გამოსცადეს ძალები. თებერვალში ირლანდიასთან სათამაშოდ დუბლინში წაყვანილი ფეხბურთელებიდან ოლეგ რომანცევმა სატალინო შეხვედრისთვისაც უკლებლივ ყველას უხმო. თან გუნდში სამი დებიუტანტი — დმიტრი სენიკოვი, ანტონ ბობერი და ალექსანდრ კერჟაკოვი მიიწვია.

შეგახსენებთ, რომ ესტონეთთან ამხანაგური მატჩის ჩატარება საქართველოს ნაკრებსაც აქვს დაგეგმილი.

აქვე გაგაცნობთ რუსთა თავკაცის 22 რჩეულს:

*მეკარეები: ალექსანდრ ფილიმონოვი („ურალანი“), რუსლან ნიგმატულინი („ვერონა“, იტალია)*

*მცველები: იური კოვტუნი („სპარტაკი“), იგორ ჩუგაინოვი („ურალანი“), ვიქტორ ონოპკო („ოვიედო“, ესპანეთი), დმიტრი ხლესტოვი („ბეშიქთაში“, თურქეთი), იური ნიკიფოროვი („პსვ ეინდჰოვენი“, ჰოლანდია), ვიაჩესლავ დაევი (ცსკა), დმიტრი სენიკოვი („ლოკომოტივი“)*

*ნახევარმცველები: ეგორ ტიტოვი („სპარტაკი“), სერგეი სემაკი (ცსკა), ალექსეი სმერტინი („ბორდო“, საფრანგეთი), ალექსანდრ მოსტოვოი („სელტა“, ესპანეთი), ვალერი კარპინი („სელტა“, ესპანეთი), დმიტრი ალენიჩევი („პორტუ“, პორტუგალია), ანტონ ბობერი („კრილია სოვეტოვი“), ანდრეი კარიაკა („კრილია სოვეტოვი“), დმიტრი ხოხლოვი („სოსიედადი“, ესპანეთი), მარატ იზმაილოვი („ლოკომოტივი“)*

*თავდამსხმელები: ვლადიმირ ბესჩასტნიხი („სპარტაკი“), დმიტრი სიჩევი („სპარტაკი“), ალექსანდრ კერჟაკოვი („ზენიტი“).*

რუსეთის ნაკრები ტალინში 25 მარტს, დილით ჩარტერული რეისით გაფრინდება.

**ბახა შალამბერიძე**

## ირლანდია

ირლანდიის ეროვნული გუნდი 27 მარტს დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ ამხანაგურად დანიას გაეჯიბრება. მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ საამმატჩოდ 25 ფეხბურთელი შეარჩია:

*მეკარეები: შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კელი (ჩარლტონი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (ჰიბერნიანი, შოტლანდია);*

*მცველები: სტივ სტონტონი (ასტონ ვილა, ინგლისი), იან ჰარტი, გარი კელი (ორივე ლიდსი, ინგლისი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), გარი ბრინი (ქოვენთრი, ინგლისი), ენდი ობრაიენი (ნიუკასლი, ინგლისი), კენი კანინგემი (უიმბლდონი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: როი კინი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), ჯეისონ მაკატირი, კევინ კილბეინი (ორივე სანდერლენდი, ინგლისი), მეტ ჰოლანდი (იფსვიჩი, ინგლისი), სტივ ფინანი (ფულემი, ინგლისი), მარკ კენედი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), სტივენ რიდი (მილუოლი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სელტიკი, შოტლანდია), მარკ კინსელა (ჩარლტონი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ნაილ ქუინი (სანდერლენდი, ინგლისი), რობი კინი (ლიდსი, ინგლისი), კლინტონ მორისონი (კრისტალ პალასი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლექბერნი, ინგლისი), დევიდ კონოლი (უიმბლდონი, ინგლისი)*

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



AP ფოტოქრონიკა

ბონზი ველსი და მისიანები „პორტლენდის" მეტოქეებს რისხვად ექცნენ

# წინმკლავი, შავმკლავი, მომკლავი...

## პორტლენდი მიიბრძვის, მიირთვა ბოსტონეული

18 მარტი

**ბოსტონი 91:100 პორტლენდი**

ბოსტონი: პირსი (28), უოლკერი (19), ანდერსონი (14 ქულა, 9 პასი, 9 მოხსნა)
პორტლენდი: ველსი (20), ვოლესი (18), კემპი (12 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი 113:110 მილუოკი**

შარლოტი: მაშბურნი (31), კემბელი (20), დევისი (18), ბრაუნი (17 ქულა, 12 მოხსნა), ვესლი (16)
მილუოკი: კასელი (27), ალენი (23), რობინსონი (16), რედი (15)

**გოლდენ სტეიტი 96:99 ვაშინგტონი**

გოლდენ სტეიტი: არენასი (25), რიჩარდსონი (21), ჯემისონი (16)
ვაშინგტონი: ვიტნი (20), ჰამილტონი (17)

**კლიპერსი 93:86 ჰიუსტონი**

კლიპერსი: ოლოვოკანდი (26 ქულა, 11 მოხსნა), ბრენდი (20 )
ჰიუსტონი: ფრენსისი (23), მობლი (21), უილიამსი (14)

**დენვერი 91:98 დეტროიტი**

დენვერი: ჰოვარდი (18), ლენარდი (18)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (24 ქულა, 11 პასი), რობინსონი (16)

მსუქანი დასავლელი ბობოლები თავს მშვიდად ველარ გრძნობენ, ყველა მღელვარედ ელის ცხრილის სიღრმეებიდან თავამოყოფილ „პორტლენდთან" შეტაკებას, რომელიც წინ ისეთი რიხით მიიბრძვის, ჯერჯერობით აქტივში მასზე მეტი მოგების მქონეთ სრული საფუძველი აქვთ, ეს გუნდი, თუ უფრო მეტად არა, თავიანთ ტოლად მაინც ჩათვალონ.

ბოლო 16 მეტოქიდან აგერ, მეთხუთმეტის გამგორებელი „პორტლენდი" სხვებზე ზეობის საფუძველს აქედანვე იქმნის და მრავალფეროვანი ტაქტიკური არსენალი ჩუმ-ჩუმად ჩემპიონობის სურვილს უჩენს. „დღეს მეტოქემ ჩვენივე სტილით თამაშით დაგვამარცხა" — წამოსცდასავით ბოსტონელი „კელტების" მეტოქეებზე დამგეშავ ჯიმ ობრეინს. ბოლო შვიდ სეზონში სანუკვარი პლეი ოფისკენ პირველად მქროლავ და შემხვედრთა ძირითადად სამქულიანებით მბომბავ „ბოსტონს" სტუმრებმა იქით დაატეხეს თავს სამიანების წვიმა.

სტუმართა მომოხუცო წინამძღოლს სკოტი პიპენს იმ დღეს თამაში არ წაუვიდა. ვერც თავისი კუნთა ტანით გაარღვია ბოსტონური დაცვითი კედელი და ვერც ფარსშიგა პასებით დაარღვია დამხვდურთა ზონური დაცვა. ასე რომ, მისიანებმა „ბოსტონის" კალათისკენ ბურთს სხვა გზა გაუკვალეს, შორიდან მისცხეს. ერთი კია, თავიდან ბევრი ბურთი გააფუჭეს (მატჩში „პორტლენდმა" 32 სამქულიანიდან 21 გააფუჭა), თუმც ამ მხრივ მეტოქე მასზე მეტად სცოდავდა და ტაიმიც სტუმარ გუნდს ცხრაქულიანი უპირატესობით დარჩა.

„ბოსტონმა", ცხადია, არ ინება დანებება. მასპინძლებში უჩაუქესმა პოლ პირსმა იმდენი იბორგა, სანამ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 77:77 არ გაათანაბრა. თუმც ვერც პირსმა და ვერც ექსპორტლენდელმა და ყოფილი გუნდის მარცხში სხვებზე მეტად დაინტერესებულმა კენი ანდერსონმა ვერ იხსნეს „ბოსტონი" ჩაძირვისგან. მანამდე სამქულიანების რახარუხით მსროლელმა პორტლენდელებმა გადამწყვეტ მეოთხედში ზუსტად გამართეს შავი მკლავები. სტუმართა 84:81 წინყოფნისას პირსის უხეირო სამიანს ბონზი ველსმა ხეირიანით უპასუხა, შემდეგ მანვე ვიღაც მასპინძელთაგანს ბურთი მოპარა, ქარივით გაიჭრა და მოხდენილად ჩატენა, რითაც ბოლო მეოთხედის ზუსტად შუაწელს ანგარიში 89:81 გახადა. ამ ერთწუთიან გაქცევას „სელტიქსმა" რადიკალურით ვერაფრით უპასუხა და, თუმც ცდა არ დაუკლია, მეტოქეს ბოლო წამამდე კუდში დევნის მეტ ვერაფერი მოუხერხა.

„ჩვენ დავეუფლეთ მაგათ ისევ, როგორც ისინი ჩვენ ჩვენთან ჩამოსვლისას. ასე რომ, თავი ისევ გამოგვეყოფა ხალხში" — რაღაც ასეთები ილაპარაკა „სელტიქსის" ყველაზე მეტად დამაქცევარმა ბონზი ველსმა.

დავეხსნათ „პორტლენდს" და ორი სიტყვით „შარლოტ ჰორნეთსიც" შევაქოთ. კარგა ხანია, ამ გუნდს ხუთივე ძირითადი კალათბურთელი ჯანზე არა ჰყოლია. პირველი ქულათმხვეჭი ჯამალ მაშბურნი ბარე სამი თვე წამლობდა სხეულის რომელიღაც ნაწილს, ხოლო ის რომ შემოეხიდა თავისიანებს, ახლა დევიდ ვესლი გახდა საწამლო. „შარლოტს", რომელიც ქალაქ შარლოტში ბოლო სეზონს უხვდება მეტოქეებს და შემოდგომიდან ბინას ახალ ორლეანში დაიჭერს, მაინც ქება ეთქმის, რამეთუ სამედიცინო პრობლემათა მიუხედავად, მაინც მოახერხა მეპლეიოფეებში ტრიალი და ახლა, როცა ხუთივე დამწყები მოუმჯობინდა, საპლეიოფო საფუძველს გაიმყარებს.

გუშინწინ შარლოტელმა „კრაზანებლმა" მილუოკელ „ხარირმებს" ატაკეს ნესტარი. ხუთივე ხუთეულელმა მოიხვეჭა მინიმუმ 16 ქულა. ყველაზე ცოტა, სწორედ 16 ტრავმირებულყოფილ დევიდ ვესლის შეუგროვდა, მაგრამ მატჩის გმირი მაინც ის გახლავთ, რადგან „მილუოკის" ბოლო 30 წამში ხუთი ქულა უთავაზა.

თავის გუნდს ასევე ხუთი ქულა მოუხვეჭა ვაშინგტონელმა კრის ვიტნიმ, ოღონდ „გოლდენ სტეიტთან" შეხვედრის არა ბოლო 30, არამედ 12,5 წამში. ჰოდა, თუმც მაიკლ ჯორდანი ჯერაც არ ჰყავს, „ვაშინგტონმა" მაინც მოიგო ის მატჩი.

**ირაკლი ფირუმვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 42 | 24 | 63,6 |
| ბოსტონი | 38 | 29 | 56,7 |
| ორლანდო | 36 | 30 | 54,5 |
| ფილადელფია | 34 | 31 | 52,3 |
| მაიამი | 30 | 34 | 46,9 |
| ვაშინგტონი | 31 | 36 | 46,3 |
| ნიუ იორკი | 25 | 40 | 38,5 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 38 | 27 | 58,5 |
| მილუოკი | 36 | 29 | 55,4 |
| ინდიანა | 34 | 32 | 51,5 |
| შარლოტი | 33 | 33 | 50,0 |
| ტორონტო | 30 | 37 | 44,8 |
| ატლანტა | 25 | 40 | 38,5 |
| კლივლენდი | 24 | 42 | 36,4 |
| ჩიკაგო | 17 | 50 | 25,4 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 46 | 20 | 69,7 |
| სან ანტონიო | 45 | 21 | 68,2 |
| მინესოტა | 40 | 26 | 60,6 |
| იუტა | 36 | 30 | 54,5 |
| ჰიუსტონი | 25 | 41 | 37,9 |
| დენვერი | 19 | 45 | 29,7 |
| მემფისი | 17 | 49 | 25,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 47 | 18 | 72,3 |
| ლეიკერსი | 47 | 18 | 72,3 |
| პორტლენდი | 41 | 25 | 62,1 |
| სიეტლი | 37 | 30 | 55,2 |
| კლიპერსი | 35 | 33 | 51,5 |
| ფინიქსი | 30 | 37 | 44,8 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 48 | 26,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**ტრეისი მაკგრეიდი**
**• ორლანდო •**



### დასავლეთი

**ტიმ დანკანი**
**• სან ანტონიო •**



**ეროვნულ** საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი კვირა გაილია და კვირის მოთამაშეთა გამომვლენმა ხალხმა ბოლო შვიდ დღეში თავგამოჩენილთ შეავლეს თვალი. კვირის ყველაზე ყოჩაღ დასავლელად დასახელდა „სან ანტონიო სფურზის" 213-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ტიმ დანკანი, აღმოსავლეთში კი პირველობა არავის დაუთმო ორლანდოელთა 22 წლის სიამაყემ ტრეისი მაკგრეიდიმ.

დანკანი მრავლის შემძლე ახმახი ჯეელია, „სან ანტონიოს" მისით უდგას სული და მძლავრი გუნდებით მდუღარ დასავლეთში საპატიო მეოთხეობასაც ამ უპრეტენზიო გოლიათს უმადლის. წინა კვირას ტიმმა თავისიანებს ოთხივე მეტოქესთან ბრძოლაში გაამარჯვებინა, თავად კი ამ ოთხ მატჩში საშუალოდ 26,3 ქულას, 11,5 მოხსნას და 2,33 დაფარებას გამოვიდა გუნდის საკეთილდღეოდ.

დანკანზე არანაკლებ ქებას იმსახურებს მაკგრეიდი. საჭიროა მხოლოდ დანკანის საქები წინადადებიდან სიტყვების „ახმახი" და „უპრეტენზიო" ამოღება და შეგვეძლება, მაკგრეიდზეც იგივე დავწეროთ. მაკგრეიდიმ „ორლანდოს" კვირის სამ მატჩში საშუალოდ 31,3 ქულა, 10 პასი და 7,7 მოხსნა შეუხიდა, „ორლანდომ" კი, ცხადია, სამივე მატჩი მოიგო. მაკგრეიდის ჯერ ბოლომდე გამოუვლენმა მრავალმხრივმა ნიჭმა განსაკუთრებით ვიცე-ჩემპიონ „ფილადელფიასთან" საკვირაო ჯახში იფეთქა. მაკმა აივერსონის გუნდს 29 ქულა უთავაზა და თანაგუნდელებს კარიერაში სარეკორდო 13 პასიც გაუჩარხა.

## სლოვენია

I ტური

პივოვარნა — ჰელიოსი 97:76,
კრკა — ზაგირიე 102:87

**სავინსკი 76:105 ოლიმპია**

სავინსკი: შჩეპანოვიჩი (6), სატოვიჩი (3), რუჩიგა (6), სკოკი (3), ტოვორნიკი (23), პაგისი (15), პერკოვიჩი (16), ჩიზეი (4)
ოლიმპია: ველში (13), გოლემაცი (11), ილიევსკი (13), ბოისა (5), მოდრიჩი (4), ბ. უდრიჰი (10), ტორომანი (6), ავოჯობი (7), დალი (10), მუეძინოვიჩი (9), ჰუკიჩი (15), სუბიტიჩი (2)

**სლოვანი 98:87 კემოპლასი**

სლოვანი: ჰიკი (4), ოზბოლტი, ჟაკელი (21), ფრიერსონი (12), იევტოვიჩი (2), ს. უდრიჰი (19), კოვაჩი, უგრეხელიძე (9 ქულა, 10 მოხსნა), ჟუპანი (2), სლოკარი (11), ზაგორაცი (18)
კემოპლასი: როვსნიკი (4), პეტროვიჩი (25), ნოვაკოვიჩი (5), ნოვაკი, ა. მაჩეკი (1), რიბელი (9), კოვეჯიჩი (20), სპაჰიჩი (17), კოჩარი (6)

წინა კვირას სლოვენიის ჩემპიონატი დაიწყო. უფრო ზუსტად, საჩემპიონო გზას ის გუნდები დაადგნენ, რომელთა გამოც ამ ქვეყნის პირველობა ჩვენთვის საინტერესოა.

წლევანდელი სლოვენიური ჩემპიონატი წინამორბედთაგან განსხვავებულია. სეზონი თავის დროზე კი დაიწყო, მაგრამ არა სრულყოფილად. ბობოლებმა — „ოლიმპია", კრკა, „პივოვარნა", „სლოვანი" — წყალი რად ვნაყოთ, ჯერ დანარჩენებმა ერთმანეთში ოთხი საუკეთესო გაარკვიონ და ჩემპიონატს მერელა შევუერთდებითო. მანამდე კი იუგოსლავიის ალტერნატიულ ჩემპიონატში ვითამაშებთ ყოფილ მოძმე ქვეყნების კლუბებთანო და ადრიატიკის ლიგად წოდებულ ტურნირში ჩაებნენ. იქ ამ გუნდების მარიფათზე ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ გეტყვით, რომ ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია" ლიდერი, დავით უგრეხელიძისა და კოტე ტულუშის „სლოვანი" კი ბოლოდან მეორეა.

სლოვენიაში უყოჩებოდ დარჩენილები ოთხეულის გარკვევას მარტამდე მოუნდნენ და ზეოთხეულს შეუერთდნენ. „ზაგორიე", „კემოპლასი", „ჰელიოსი" და „სავინსკი ჰოპსი" ადრიატიკელებს დაემატნენ და სლოვენიის ჩემპიონატის მეორე ეტაპიც გაჩაღდა. პირველ ტურში ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა. ოთხმა ფავორიტმა ოთხი აუტსაიდერი დაამარცხა. ყველაზე ხმაურიანად, მოლოდინისამებრ, ჩემპიონმა იმარჯვა, რომელმაც „სავინსკი ჰოპსი" სტუმრად დააჩოქა. ვლადიმერ ბოისა ოლიმპიელებს 5 ქულით შეეწია.

გაიმარჯვა „სლოვანმაც". დავით უგრეხელიძის წილი „კემოპლასის" დამარცხებაში 9 ქულაა. მან ყველაზე მეტი, 10 მოხსნაც მიითვალა. კოტე ტულუშის გვარი კი მატჩის ოქმში ვერ ამოვიკითხეთ.



სლოვენიის ჩემპიონატში დავით უგრეხელიძის „სლოვანს" ჩვენებურის ქულა-მოხსნების იმედიც აქვს

## პორტუგალია

XXI ტური

ლუზიტანია — კელუზი 101:100, ავეირო — ქინაზიო 97:90, ლეირია — ბენფიკა 86:78, პორტუ — მადეირა 112:77, ტელეკომი — ვისტა ალეგრე 77:72, ოლივაირენსე — ქაია 105:88, ბელენენსეში — ბარეირენსე 112:103

**სეიშალი 81:95 ოლივეირენშე**

ოლივეირენშე: სეიჟასი (15), კრავტრი (12), ჟერონიმო (24), სტიუარტი (16), ველდუიზენი (14), კოშტა (4), ნაცვლიშვილი (30 წუთი, 10 ქულა, 17 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 21 | 17 | 4 | 1807:1631 | 38 |
| ოვარენსე | 21 | 17 | 4 | 1941:1853 | 38 |
| პორტო | 21 | 15 | 6 | 1954:1803 | 36 |
| ოლივეირენშე | 21 | 15 | 6 | 1825:1663 | 36 |
| ვისტა ალეგრე | 21 | 15 | 6 | 1797:1691 | 36 |
| სეიშალი | 21 | 11 | 10 | 1828:1787 | 32 |
| ქინაზიო | 21 | 10 | 11 | 1777:1749 | 31 |
| ლუზიტანია | 21 | 10 | 11 | 1832:1871 | 31 |
| ბენფიკა | 20 | 10 | 10 | 1773:1652 | 30 |
| კელუზი | 21 | 9 | 12 | 1873:1950 | 30 |
| ავეირო | 19 | 10 | 9 | 1731:1671 | 29 |
| ბარეირენსე | 20 | 9 | 11 | 1807:1870 | 29 |
| მადეირა | 21 | 7 | 14 | 1863:1874 | 28 |
| ლეირია | 21 | 4 | 17 | 1608:1834 | 25 |
| ბელენენსეში | 21 | 4 | 17 | 1825:1993 | 25 |
| ქაია | 21 | 3 | 18 | 1629:1980 | 24 |

# პატარები იტალიაში

**გუშინ** საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთიდან ჩაფრინდა იტალიაში, ქალაქ ტრევიზოში, სადაც ხვალ მსოფლიოს თასის ტურნირი დაიწყება. უმცროს ბორჯღალოსანთა ამოცანა ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა. ჩვენმა მორაგბეებმა საამისოდ საფრანგეთში გაიარეს ორკვირიანი შეკრება და ორი საკონტროლო მატჩიც გამართეს. პაატა ნარიმანიშვილის გუნდი ახალგაზრდულ „ბრივს“ და სამოყვარულო „ვოლფრანშს“ გაეჯიბრა და ორივე მატჩი მოიგო.

მსოფლიოს თასის A ჯგუფში თექვსმეტი გუნდია, რომლებიც პირდაპირ მერვედფინალიდან იწყებენ ტურნირს. საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე უელსის გუნდი იქნება. ელიტიდან ორი მაჩანჩალა ვარდება, მათ ადგილს კი B ჯგუფის ფინალისტები დაიკავებენ. ტურნირის ორგანიზატორებს იმგვარად შეუდგენიათ განრიგი, რომ ბობოლებში დასარჩენად ერთი მოგებაც კმარა. მერვედფინალიდან გასულები საპრიზო ადგილებისთვის აგრძელებენ ბრძოლას, რითაც საუკეთესო რვა გუნდში იბევებენ ადგილს, დამარცხებულები კი ერთმანეთს შეუწყვილდებიან და მე-9-მე-16 ადგილებს გაითამაშებენ. მთლად ხელმოცარულები კი დამრჩენ-გასავარდნთა ვინაობას გაარკვევენ.

ტურნირის უდავო ფავორიტები ახალი ზელანდია და საფრანგეთი არიან, რაკი ბობოლა ავსტრალიამ წლეულს უარი განაცხადა შეჯიბრში მონაწილეობაზე და ამით გვარიანად აწყენინა ორგანიზატორებს. თუმც FIRA-AER-ის ხელმძღვანელობა ოზთაგან ასეთებს ჩვეულია. ტურნირი 1969 წლიდან იმართება და ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მეტჯერ საფრანგეთის ნაკრები გახდა მსოფლიოში უძლიერესი. უმცროსმა „მამლებმა“ 19-ჯერ მოიგეს ჩემპიონის ტიტული.

**ბაჩო სვანიძე**

# ბორჯღალოსნები


ნუკრი ვაჩნაძის ფოტო

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

- ახ. ზელანდია – სამხ. კორეა
- იტალია – ირლანდია
- სამხ. აფრიკა – ჩილე
- ინგლისი – რუმინეთი
- უელსი – საქართველო
- არგენტინა – იაპონია
- ურუგვაი – შოტლანდია
- საფრანგეთი – რუსეთი

1/4, 1/4, 1/4, 1/4 — 1/2, 1/2 — ფინალი

მერვედფინალი — 21 მარტი; მეოთხედფინალი — 24 მარტი;
ნახევარფინალი — 27 მარტი; ფინალი — 30 მარტი

# დიდები ესპანეთში

**კვირას,** 24 მარტს, ევროპის ერთა თასის ბოლოსწინა ტურში საქართველოს ნაკრები მადრიდში ესპანელ „ლომებს“ დაუპირისპირდება. ჩვენი მორაგბეები ესპანეთის დედაქალაქში ხვალ შეიკრიბებიან და სასტუმრო „სან ანტონიო დელა ფლორიდაში“ დაბინავდებიან. გუშინ კი ბორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა საამატჩო 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ტრავმებმა საკმაოდ შეასუსტა. მადრიდში ვერ ითამაშებენ მორკინალები დავით ბოლგაშვილი, გოდერძი შველიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გრეგუარ იაშვილი და უკანახაზელი ვასილ აბაშიძე. სორელმა ნაკრებში პირველად უხმო ფრანგული „მასის“ მორკინალ კახა უჩავას, ვინც კუნთგაწყვეტილი ბოლგაშვილის სამარქაფოდ შეიგულა. ასევე პირველად მოხვდა 22-კაციან სიაში „კასტრის“ გარე ნახევარმცველი ბობა კვინიხიძე. ტრავმები მოირჩინეს და გუნდს დაუბრუნდნენ მალხაზ ურჯუკაშვილი და მამუკა მაგრაქველიძე. საქართველოს ნაკრების საესპანეთო შემადგენლობა კი საბოლოოდ ასე გამოიყურება:

***მორკინალები:*** *მევლუდ მთიულიშვილი (აჟანი), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი), ლევან ცაბაძე (კასტრი), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), ლევან ჯაველიძე (ნანტი), ვანო ნადირაძე (ბურგ ან ბრესი), ვიქტორ დიდებულიძე (ფიზჟაკი), კახა უჩავა (მასი), გია ლაბაძე (ტულონი), ილია ზედგინიძე (ტულონი), მამუკა მაგრაქველიძე (ოში);*

***უკანა ხაზი:*** *შოთა მოდებაძე (ნიმი), ირაკლი აბუსერიძე (ლოკომოტივი), პალიკო ჯიმშელაძე (გრენობლი), ბობა კვინიხიძე (კასტრი), ვასილ კაცაძე (გრენობლი), თედო ზიბზიბაძე (მზამე), კახა ალანია (ლოკომოტივი), მალხაზ ურჯუკაშვილი (მზამე), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), ირაკლი მაჩხანელი (უნივერსიტეტი).*

ჩოგბურთი

# ქალები ისევ გადატრიალდნენ
## ჰიუიტისა კი მხოლოდ ქუსლები მოჩანს

**ბოლოდროინდელმა** შლეგიანმა თამაშმა და სანხოსეურ-ინდიანუელსურ ტურნირებზე გალაღებამ მსოფლიოს უპირველესი მეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი უშუალო მდევარ გუსტავო კურტენისგან ერთბაშად 1210 ქულით გააქცია. მეთიხნარე ბრაზილიელმა ესესაა ბარძაყის მძიმე ოპერაცია გადაიტანა და სანამ პირად ჩათვლას მორიგი ქულებით გაიმდიდრებდეს, კიდევ მრავალი კვირა გაივლის.

მესამე-მეოთხე ადგილები გაცვალეს ევგენი კაფელნიკოვმა და ხუან კარლოს ფერერომ, ოღონდაც ისე, რომ ესპანელს კინკილა ქულაც არ შემატებია, ხოლო რუსმა უკანასკნელ ტურნირებზე თავი ვერაფრით გამოიჩინა და, რადგან 12-თვიანი კარუსელა წესის თანახმად შარშან ამ დროს მონაგარიც ჩამოაკლდა, საფეხურით ჩაინაცვლა კიდეც. ასევე ჩაგორდა ამერიკელი ანდრე აგასიც, რომელმაც სკოტსდეილში ტიტული კი შეინარჩუნა, მაგრამ ინდიანუელსური ტიტულის დაცვა აღარ გამოუვიდა. ამის გამო მისმა საქულე მარაგმა დიდი ზარალი განიცადა და ჯადო-ანდრანიკს მე-10 ადგილამდე დაქვეითება მოუხდა. მისი მე-5 საფეხური მხარმტკივანმა და ამ მიზეზით ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალიდან მოყოლებული დღემდე არარაფრის გამკეთებელმა ტომი ჰაასმა დაიკავა.

მე-11-დან მე-6-ზე აინაცვლა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა, ვისაც ბრწყინვალედ ჩათამაშებული ინდიან უელსის შემდეგ წლეულს უკვე 20 გამარჯვება დაუგროვდა, რისი გაკეთებაც მეტი არავის გამოსვლია. ადგილები ჩააროქეს მარატ საფინმა და სებასტიან გროჟანმაც — ავსტრალიის მეფინალე რუსს კიდევ რალაც გამოსდის, ხოლო გროჟანს ჯერჯერობით აშკარად სჯაბნიან მისი თვისტომები, ბებერი ფაბრის სანტორო და ნიკოლა ესკუდე. სხვათა შორის, დუბაის ტურნირის გამარჯვებულმა სანტორომ ერთი საფეხურით წაიწია.

მოუხსენებელი არც შვედი ტომას ენკვისტის ზეოცეულში დამკვიდრება უნდა დაგვირჩეს — ენკვისტმა თებერვალში მარსელის ტურნირზეც იმარჯვა, ხოლო „პასიფიკ ლაიფ ოუფენზე“ მეოთხედფინალამდე გავიდა და იქაც ჰიუიტთან დათმო. ამ ტურნირის პირველ წრეში — ვინმეს თუ არ ახსოვს და — მან თვისტომ ტომას იოჰანსონს სძლია, რაც ასევე სიმპტომატური ფაქტია. ავსტრალიის ღია პირველობაზე ხეირის შემდეგ იოჰანსონზე მარჯვედ შვედური ჩოგბურთის ალამი სწორედ ენკვისტს უპყრია.

რაც შეეხება ავსტრალიელ პატ რაფტერს, იგი კორტზე დაბრუნებას არ აპირებს და ამის გამო ნელ-ნელა კლასიფიკაციის ფსკერზე ეშვება.

ყველაფერი ზემოთ თქმული სიმეტრიულად ვრცელდება ჩემპიონთა რბოლაზეც, რომლის ჩათვლაშიც მხოლოდ წლეულს მოხვეჭილი ქულები ირიცხება. ოღონდ, რამდენადაც აქ საქმე ჯერჯერობით ქულათა მცირე რაოდენობებს ეხება, მრბოლთა ზეოცეულში ჰენმანის, ჰიუიტისა და ენკვისტის წინსვლის გარდა შებერებული ამერიკელების — ტოდ მარტინისა და პიტ სამპრასის საბოლოოთვეო გარჯაც აისახა. ორივე მათგანმა ინდიან უელსის ნახევარფინალს უწია და იქ მომავალ ფინალისტებთან დათმო. ამასთან, თუკი სამპრასის სიჩაუქე არავის უკვირს, მარტინის მიერ თებერვალ-მარტში გრეგ რუზეცკის, უეინ ართურსის, ტომი ჰაასის, კაროლ კუჩერასა და ევგენი კაფელნიკოვის დამარცხება მაინც გასაკვირალი ამბავია.

აი, მდედრიონში კი მორიგი გადატრიალება მოხდა. ვინუს უილიამსს არმად დაურჩა საბოლოკვირებო უქმობა და ოფლითა და სისხლით მოპოვებული პირველი ჩოგანი კვლავ მის მანამდელ მფლობელს, ჯენიფერ კაპრიატის დაუთმო. მის ართამაშობაში ჯენიმ სკოტსდეილურ ფინალს უწია და თუმც იქ სერენასთან 2:6, 6:4, 2:6 წააგო, მაგრამ ისევ გასაპირველებლად ესეც საკმარისი გამოუდგა. ვინუსს ის თუ ანუგეშებს, რომ ამ დღეებში იგი თებერვლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. იმ თვეში მან პარიზის ჭერქვეშა და ანტვერპენის ტურნირებიააწიოკა და ქალთა სიაშიც უპირველეს ხარისხს შეწვდა.

სხვაფრივ — მეოთხიდან მესამემდე ავიდა მარტინა ჰინგისი, ვინაც წლეულს ნათამაშევ 5 ტურნირზე 4-ჯერ ფინალს უწია და ორჯერაც — სიდნეისა და ტოკიოში — ტიტულებიც დაისაკუთრა. თუმცა უმთავრესი ამჯერად მაინც დანიელა ჰანტუჩოვასთან გასულ უქმეებზე წაგებულ ფინალში თამაში იყო. თავად ნორჩმა სლოვაკმა 26-ე ადგილიდან უმალ მე-16-ზე აინაცვლა და ეგრე თუ გააგრძელა, მალე მთავარ ათეულშიც შევა.

ოდნავ ჩამოსრიალდნენ ადრეიანვარში ნაოპერაციევი და დღემდე ვერმოკეთებული ლინდსი დევენპორტი და ბელგიელი კიმ კლაისტერსი, ვინაც ინდიან უელსის პირველსავე წრეში 35-ე ნომრად განთესილმა ფრანგმა ნატალი დეშიმ დაამჟავა — 6:2, 7:5.

**ლევან ძელაურაძე**

## კლასიფიკაცია


ჯენიფერ კაპრიატი

### ქალები

| | |
|---|---|
| 1. (2) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 4767 ქულა |
| 2. (1) ვინუს უილიამსი (აშშ) | 4616 |
| 3. (4) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 3811 |
| 4. (5) ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3456 |
| 5. (3) კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3375 |
| 6. (9) მონიკა სელეში (აშშ) | 3069 |
| 7. (7) ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 2991 |
| 8. (8) ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 2974 |
| 9. (6) სერენა უილიამსი (აშშ) | 2793 |
| 10. (10) ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2651 |
| 11. (11) სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 2088 |
| 12. (12) სილვია ფარინა-ელია (იტალია) | 1748 |
| 13. (13) მეგენ შონესი (აშშ) | 1724 |
| 14. (15) არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1665 |
| 15. (14) ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1537 |
| 16. (16) ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1464 |
| 17. (26) დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) | 1428 |
| 18. (17) ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1363 |
| 19. (19) იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) | 1199 |
| 20. (18) მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1186 |

### მამები
### კლასიფიკაცია ძველი სისტემით

| | |
|---|---|
| 1. (1) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 4520 ქულა |
| 2. (2) გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 3310 |
| 3. (4) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2760 |
| 4. (3) ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2675 |
| 5. (6) ტომი ჰაასი (გერმანია) | 2515 |
| 6. (11) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2475 |
| 7. (8) მარატ საფინი (რუსეთი) | 2355 |
| 8. (7) სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 2260 |
| 9. (9) ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 2245 |
| 10. (5) ანდრე აგასი (აშშ) | 2195 |
| 11. (10) პატ რაფტერი (ავსტრალია) | 2145 |
| 12. (12) ენდი როდიკი (აშშ) | 1965 |
| 13. (13) პიტ სამპრასი (აშშ) | 1825 |
| 14. (14) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1820 |
| 15. (15) ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1710 |
| 16. (16) გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1655 |
| 17. (17) გილერმო კანასი (არგენტინა) | 1607 |
| 18. (18) ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 1445 |
| 19. (20) ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 1430 |
| 20. (22) ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1425 |

### ჩემპიონთა რბოლა 2002
### მხოლოდ წლევანდელი შედეგები

| | |
|---|---|
| 1. (1) ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 238 ქულა |
| 2. (4) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 182 |
| 3. (2) მარატ საფინი (რუსეთი) | 163 |
| 4. (2) ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 155 |
| 5. (41) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 136 |
| 6. (9) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 121 |
| 7. (4) ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) | 119 |
| 8. (8) ტომი ჰაასი (გერმანია) | 115 |
| 9. (6) ენდი როდიკი (აშშ) | 111 |
| 10. (7) იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 110 |
| 11. (11) რაინერ შიუტლერი (გერმანია) | 109 |
| 12. (13) ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 98 |
| 13. (10) დავიდე სანგვინეტი (იტალია) | 94 |
| 14. (11) გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) | 91 |
| 15. (33) ტოდ მარტინი (აშშ) | 88 |
| 16. (16) ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 83 |
| 17. (14) ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 81 |
| 18. (25) ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 80 |
| 19. (46) პიტ სამპრასი (აშშ) | 79 |
| 20. (20) მარსელო რიოსი (ჩილე) | 78 |

მონაკოს ტურნირი სწრაფ და თვალდახუჭულ ჭადრაკში

# საქეიფო ჭადრაკი

## შევავსოთ დაფები, ნუ გავაჯანჯლებთ...

**მონტე კარლოში** დაიწყო ამბერის მე-11 ტურნირი, რომელსაც ჰოლანდიელი მეცენატი იონ ვან ოსტერომი, თუ შეიძლება ითქვას, სრულიად უანგაროდ ყოველ წელს მართავს. ამაში იგულისხმება, რომ ჰოლანდიელი ხარჯავს ფულს კაზინოების ქალაქში უძვირესი ფართის დასაქირავებლად, უხდის მოჭადრაკეებს და სოლიდურადაც — ხოლო ამოგების წყარო არ ჩანს, რადგან მაყურებელთა ინტერესები იქ ბოლო ადგილზეა, ტელერეპორტაჟები არსად გვინახავს და ვებგვერდიც სწორედ ვერ არის ისეთი, ჭადრაკის გურმანები რომ მოიწონებენ. მიბრძანდით მისამართზე WWW.LOSTCITY.NL/AMBER და თქვენ ვერ ნახავთ პარტიების ვერავითარ პირდაპირ ტრანსლაციას, რაც ჭადრაკის წესიერი ვებგვერდის უცილობელ ატრიბუტს შეადგენს. სხვა წმინდა ჟურნალისტურ-ინფორმაციული ნაკლოვანებებით არ გადაგღლით.

ეს კრიტიკა როდია. უბრალოდ, ის კაცი თავის ქეიფზე იქცევა (ფულს იხდის) და ამ ქეიფის ერთი გამოხატულებაა ტურნირისთვის მონაწილეთა შერჩევის პრინციპი, რომელიც მარტივი და ცხადია — ვან ოსტერომის პირადი სიმპათია. მიზეზთა გამო, ტურნირზე ერთხელაც არ უთამაშიათ გარი კასპაროვს და მაიკლ ადამსს. სამაგიეროდ, ყოველ წელს ვხედავთ ლიუბომირ ლიუბოევიჩს, თუმც იუგოსლაველი დიდოსტატის ქუხილის ხანამ გადაიარა და ბოლო წლებში იგი მუდმივი აუტსაიდერია.

არ გამოგვრჩეს, რომ ტურნირი სწრაფ და დაფაზე დაუხედავ ჭადრაკში ტარდება და მონაწილეთა რიცხვი მუდამ თორმეტია. წლეულს დებიუტი აქვთ ალექსანდრ მოროზევიჩს და ევგენი ბარეევს, ხოლო ვლადიმირ კრამნიკისთვის ეს ტურნირი სასეზონო დებიუტი იქნება. ერთი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი უეცრად სიცარიელეში აღმოჩნდა. კომპანია „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" შევებმა („კასპაროვის კლუბის" ჟურნალისტი მათ „აფერისტებს" უწოდებს) კრამნიკს კომპიუტერ „დიპ ფრიცთან" მატჩის დაფინანსება აღუთქვეს (ბაჰრეინში), მერე კი აღგნენ და კრამნიკთან კონტრაქტი, მისი ტიტული და დანარჩენი ყველაფერი მედია — გიგანტ „არნშტაინ გრუპს" მიჰყიდეს, რომელმაც მატჩი ოქტომბრამდე გადადო. კრამნიკს ვიიკ აან ზეეში და ლინარესში თამაშზე უარი კომპიუტერთან მატჩის მიზეზით ჰქონდა ნათქვამი და მოკლედ, ხელცარიელი დარჩა.

მონაკოში ჩემპიონმა მერყევად დაიწყო. ის თვალხუჭუნა ჭადრაკის სპეციალისტად ითვლება, მაგრამ ერთი პარტია წააგო, დანარჩენ შეხვედრებში ყაიმს დაჰყაბულდა და ცხრილის შუაში გაიჩხირა. 3 ტურის შემდეგ არსებულ სიტუაციას მოგახსენებთ.

აიწყვიტეს კი „ახალბედებმა". ალექსანდრ მოროზევიჩმა კანის ტურნირზე საშინელი ჩავარდნის შემდეგ თავისებურად აღმასვლა იწყო. მისნაირი მერყევი მოჭადრაკე პლანეტაზე არ არის. აი, ახლა იგი სრული ძალით თამაშობს და თავის გენიალურ ტალანტს უხვად აფრქვევს მეტოქეთა თავზე. უნგრელ ალმაშისთან თვალხუჭუნა პარტიაში მოროზევიჩმა მეფის გამბიტი ითამაშა, რაც 21-ე საუკუნის საჭადრაკო რელიგიაში უმძიმეს ცოდვად ითვლება, მაგრამ პარტია 20 სვლაში მოიგო.

მე-2 ტურში ძალიან პრინციპული იყო მოროზევიჩის დუელი ვესელინ ტოპალოვთან. მათი ბოლო 3 კლასიკური პარტია (2 დორტმუნდში და 1 კანში) ბულგარელმა მოიგო, რომელიც ახლა მეტად პრეტენზიულად იბრძვის ჭადრაკის რეიტინგ-ლისტში ვიშვანათან ანანდის მე-3 პოზიციიდან გასაგდებად. სწრაფი ჭადრაკის პარტიაში მოროზევიჩი წაგებას ძლივს გადაურჩა, ხოლო თვალდალუქულმა მეტოქეს ქაოსი მოახვია თავს და არც ერთის გამარჯვება იქნებოდა გასაკვირი. რუსმა იძალა.

**დავით ბულუა**

### ვითარება 3 ტურის შემდეგ

**სწრაფი ჭადრაკი**

1. ივანჩუკი 2,5; 2-4. შიროვი, გელფანდი, ბარეევი 2; 5-9. კრამნიკი, ტოპალოვი, მოროზევიჩი, ალმაში, პიკეტი 1,5; 10-11. ლიუბოევიჩი, ლეკო 1; 12. ვან ველი 0

**თვალხუჭუნა ჭადრაკი**

1. მოროზევიჩი 3; 2-3. შიროვი, ბარეევი 2,5; 4. გელფანდი 2; 5-7. ვან ველი, ლეკო, პიკეტი 1,5; 8-10. ივანჩუკი, კრამნიკი, ტოპალოვი 1; 11. ალმაში 0,5; 12. ლიუბოევიჩი 0

**ჯამური ცხრილი**

1-3. მოროზევიჩი, შიროვი, ბარეევი 4,5; 4. გელფანდი 4; 5. ივანჩუკი 3,5; 6. პიკეტი 3; 7-9. ტოპალოვი, ლეკო, კრამნიკი 2,5; 10. ალმაში 2; 11. ვან ველი 1,5; 12. ლიუბოევიჩი 1



# შეიტანეთ გრენლანდია, გაიტანეთ საქართველო! ემანდ, ვინმემ ეგრე არა თქვას...



ესეც ესკიმოსი მსაჯი!

**თუ** ძველი პრესის ილეთს ვისესხებთ, ამ წერილს უფრო რეპლიკა დაერქმევა. მოკლედ, გვინდა, წარმოგიდგინოთ გრენლანდიის ხელბურთი და კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ: როცა ნება და მონდომება არსებობს, ყველა საქმე გამოდის და აქ წუწუნი ზედმეტია.

ამას წინათ გრენლანდიას ესტუმრა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკი კრისტერ ალი და გაოცებისგან პირი დაალო. არამარტო დედაქალაქ ნუუკში, არამედ პატარა დასახლებებშიც ყველა ასაკის ესკიმოსი (მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ესენი არიან) უაღრესი ჯიგრით თამაშობდა ხელბურთს. გასაგები მიზეზების გამო ეს საქმე სუფთა ჰაერზე შეუძლებელია, მაგრამ დარბაზები აქვთ დიდებულად მოწყობილი და საკლუბო ჩემპიონატიც ერთობ გაქანებით იმართება. შეიძლება ტრიბუნებზე მეტი ხალხი მოედანზე იყოს (გრენლანდიის მოსახლეობა მეტისმეტად ცოტაა), მაგრამ ფაქტია: გრენლანდიელებს უკვე ჰყავთ კვალიფიციური მსაჯები და, რაც მთავარია, ქალთა ნაკრები, რომელმაც შარშან იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ითამაშა. ნუ მივაქცევთ ყურადღებას ანგარიშებს, რომლითაც ესკიმოსის ქალებმა ჯგუფური ტურნირის ხუთივე მატჩი წააგეს (13:35, 12:27, 13:29, 19:27, 20:34). მაინც გვაქვს უფლება, ვიკითხოთ:

ჩვენ რაღა გვჭირს?



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ვიდეოპატრული 0:1 იყო–არ იყო. ადრე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

მინესოტა — კალგარი. კალგარელი მეგოლის ჯერომ იგინლას პოზა ისეთივეა, როგორიც მისი გუნდისა — სადაცაა, წაიქცევა

**18 მარტი**

**სან ხოსე 2:3 ლოს ანჯელესი 0:1 0:0 2:2**
0:1 ბელანჟე (4), 0:2 ბელანჟე (44), 1:2 ტორტონი (47), 2:2 შტურმი (52), 2:3 დედმარში (55)

პალფე — ელისონ — დედმარშის სამეულის ჩინებულმა თამაშმა ლოს ანჯელესი ლიგაში საუკეთესო გუნდად აქცია. ოლიმპიური პაუზის შემდეგ სამეულს 45 ქულა (!) დაუგროვდა, ხოლო „მეფეებმა" 11 მატჩში მხოლოდ ერთხელ წააგეს. მორიგ კალიფორნიულ დერბიში ადამ დედმარშმა სწორედ ჯეისონ ელისონის დიდოსტატური პასით გაიტანა.

**ჩიკაგო 2:2 დალასი 1:1 1:0 0:1 0:0**
1:0 ჟამნოვი (4), 1:1 ნუინდაიკი (14), 2:1 შვაჩეკი (31), 2:2 შერერი (55)

ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა. დალასმა თავი იხსნა და სტუმრად სერია წაუგებლად დაასრულა. ჩიკაგოსთვის კი ერთი ქულაც საქმეა.

**კაროლინა 1:1 მონრეალი 0:0 0:0 1:1 0:0**
0:1 ზედნიკი (48), 1:1 კაპანენი (60)

არის ახალი ნჰლ-ური რეკორდი! კაროლინამ ზედიზედ მეშვიდე საშინაო მატჩი ჩაამთავრა ფრედ, თანაც მონრეალს ქულა ძირითადი დროის დასრულებამდე 11 წამით ადრე გამოჰგლიჯა ხელიდან. სამი კაპანენმა გოლი რომ გაიტანა, მსაჯებმა ვეც კი დააფიქსირეს, ისე ელვის სისწრაფით გამოვარდა შაიბა ბადიდან. მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ აღდგა სამართლიანობა.

**ფილადელფია 3:3 ტამპა 0:0 3:1 0:2 0:0**
1:0 დეტარდენი (23), 2:0 ბრაშირი (24), 3:0 ბრაშირი (31), 3:1 გალმორი (40), 3:2 ალექსეევი (43), 3:3 კიფი (59)

ფილადელფიამ კვლავ ვერ მოიგო შინ (ზედიზედ მეხუთედ), თანაც სამშაიბიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ორი წამყვანი ცენტრფორვარდი — ჯერემი რენიკი და კეიტ პრიმო დაკარგა. განსაკუთრებით მძიმე პრიმოს ტრავმა გამოდგა. ფორვარდმა შეჯახებისას მარცხენა მხარი დაიზიანა.

**ატლანტა 2:4 პიტსბურგი 0:0 1:2 1:2**
0:1 რ. რობიტაილი (25), 0:2 დონოვანი (31), 1:2 პრკაჩი (38), 1:3 კრაფტი (42), 2:3 ვიტე (49), 2:4 პრდინა (60)

„პინგვინებს" ალბათ ჯორჯიელთა ძლევაც ვერ გაუკვალავს გზას პლეი ოფისკენ.

**მინესოტა 4:2 კალგარი 0:0 3:2 1:0**
0:1 მაკამონდი (29), 1:1 რესტი (32), 1:2 მორისი (35), 2:2 პარკი (38), 3:2 ბრიუნეტი (39), 4:2 ლააქსონენი (60)

როგორც ჩანს, კალგარიმ საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი. ჯერომ იგინლას გუნდმა ბოლო 6 მატჩში ერთხელაც ვერ მოიგო და აუტსაიდერთან მორიგმა მარცხმა მას თეორიული შანსიღა თუ დაუტოვა.

**სამველ ლარიბიანი**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 68 | 37 | 8 | 3 | 20 | 204:157 | 85 |
| ბოსტონი | 69 | 36 | 5 | 7 | 21 | 200:170 | 84 |
| კაროლინა | 70 | 28 | 14 | 5 | 23 | 185:195 | 75 |
| ტორონტო | 68 | 35 | 9 | 4 | 20 | 198:170 | 83 |
| ოტავა | 69 | 35 | 8 | 5 | 21 | 212:171 | 83 |
| აილენდერსი | 67 | 32 | 7 | 3 | 25 | 196:186 | 74 |
| ნიუ ჯერსი | 68 | 30 | 9 | 4 | 25 | 164:157 | 73 |
| მონრეალი | 69 | 28 | 11 | 3 | 27 | 175:182 | 70 |
| რეინჯერსი | 70 | 30 | 4 | 4 | 32 | 189:217 | 68 |
| ბუფალო | 68 | 28 | 9 | 1 | 30 | 177:171 | 66 |
| ვაშინგტონი | 69 | 27 | 10 | 1 | 31 | 186:211 | 65 |
| პიტსბურგი | 69 | 27 | 6 | 4 | 32 | 169:202 | 64 |
| ტამპა | 68 | 24 | 9 | 3 | 32 | 144:170 | 60 |
| ფლორიდა | 68 | 19 | 7 | 5 | 37 | 150:208 | 50 |
| ატლანტა | 70 | 17 | 8 | 4 | 41 | 160:247 | 46 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 69 | 48 | 6 | 2 | 13 | 219:150 | 104 |
| კოლორადო | 70 | 40 | 7 | 1 | 22 | 183:143 | 88 |
| სან ხოსე | 69 | 36 | 8 | 3 | 22 | 204:169 | 83 |
| ჩიკაგო | 70 | 35 | 12 | 1 | 22 | 190:177 | 83 |
| ლოს ანჯელესი | 69 | 34 | 9 | 4 | 22 | 185:159 | 81 |
| ფინიქსი | 68 | 32 | 9 | 5 | 22 | 179:172 | 78 |
| სენტ ლუისი | 67 | 33 | 8 | 3 | 23 | 178:154 | 77 |
| დალასი | 68 | 31 | 10 | 4 | 23 | 184:180 | 76 |
| ვანკუვერი | 70 | 33 | 6 | 3 | 28 | 213:186 | 75 |
| ედმონტონი | 70 | 30 | 11 | 3 | 26 | 178:165 | 74 |
| კალგარი | 70 | 27 | 11 | 3 | 29 | 168:188 | 68 |
| მინესოტა | 69 | 23 | 11 | 7 | 28 | 167:198 | 64 |
| ნეშვილი | 68 | 25 | 11 | 0 | 32 | 162:182 | 61 |
| ანაჰაიმი | 69 | 24 | 7 | 3 | 35 | 154:173 | 58 |
| კოლუმბუსი | 68 | 19 | 8 | 3 | 38 | 137:200 | 49 |

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდი

# რუსული იარაღი ნიუ იორკში

**ლიგაში** გადასვლა-გადმოსვლის ბოლო საათებში ყველაზე სენსაციური ჯერჯერობით ეს ამბავია: „ფლორიდა" მისმა ლიდერმა და წინა ორი სეზონის საუკეთესო მეგოლემ პაველ ბურემ დატოვა. მის ტრეიდს ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, რადგან ბურეს სატრანსფერო ფასი ერთობ მაღალი გახლდათ — 10 მილიონი დოლარი, თუმც რუსი მაინც გაიცვალა. ეს უზარმაზარი თანხა აღმოაჩნდა „რეინჯერსს", რომელიც ხშირად ტყუილუბრალოდაც ფანტავს მილიონებს. თუმც ამჯერად ეს არ ითქმის: „რეინჯერსმა" სახეირო ნაბიჯი გადადგა.

ბურეს ნაცვლად „ფლორიდას" მცველი იგორ ულანოვი შეემატა, რომელიც „რეინჯერსის" ძირითადში ვერ ხვდებოდა, ერგო ერთი ფარმკლუბელიც და 2002-2003 წლების დრაფტზე არჩევანი. გაცვლამ ნიუიორკელთა ბოსები სიხარულისგან ლამისააცეკვა. გენერალურ მენეჯერ გლენ საზერის თქმით, ბურე გუნდის თამაშს საგრძნობლად გააუმჯობესებს. „ჩვენ სწორედ ისეთი კაცი გვჭირდებოდა, რომელიც საპლეიოფო ბრძოლაში გაგვიძლვებოდა" — თქვა საზერმა. ლიგის ერთ-ერთი მდიდარი გუნდი ზედიზედ ოთხი სეზონია, უპლეიოფოდ რჩება და საქმეს არც წლეულს უჩანს კარგი პირი.

ბურეს შემლევმა „ფლორიდის" მესვეურებმა აღიარეს, რომ ეს იძულებითი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი იყო. „მიუხედავად იმისა, რომ პაველმა ორჯერ მოიგო „მორის რიშარს ტროფი", გუნდმა მაინც ვერ შეძლო თავისი ამოცანის შესრულება" — თქვა ფლორიდელთა თავკაცმა მაიკ კინენმა, რომელსაც სულაც არ ეპრიანებოდა „რუსული რაკეტის" გაყიდვა.



პაველ ბურე

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

# თვალი იმისკენ გაუსხით

ჩინეთი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს მოუთმენლად ელოდება — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ამოტოლა ერი ზეპურ მარაქაში პირველად უნდა გაერიოს! ჰოდა, დიდბობოლა დასავლური კომპანიებიც ჩინელთა ყურადღების მიპყრობას რეკლამაში ფეხბურთის ვარსკვლავთა ჩართვით ცდილობენ. ეს ფოტო შანხაის მეტროშია გადაღებული. მასზე ერთი ბუნჩულა ჩინელბიჭი თავს წიგნის კითხვით იქცევს, ოღონდ დანარჩენი მსოფლიოსთვის საინტერესო იმიტომ გამხდარა, რომ ამას მაიკლ ოუენის ფონზე აკეთებს. პლაკატის მუღამი კი ისაა, რომ მეტროში ჩასულთ თავიანთი ვიწრო თვალები ინგლისელი სუპერმეგოლის მაჯისკენ გაექცეთ, სადაც — ეგებ თქვენ ვერ არჩევდეთ და — საიმედო „როლექსი" დანიკნიკებს.



# მეფე, ასირია და დიდი კედელი

ფეხბურთის მეფედ წოდებულ ამ კაცს განსაკუთრებული წარდგინება ალბათ არ სჭირდება. ვინძლო მის სანდომიან მეუღლე ასირიასაც კარგად იცნობდეთ. ერთადერთი, რაც შეიძლება, არასოდეს გინახავთ, ეგებ ჩინეთის დიდი კედელი იყოს. თუმცა ეგ აქამდე არც პელეს ენახა და ჩინეთში ბიზნესვიზიტად მყოფს, წამო, ბარემ აქა ვართო, ცოლისთვის შეუთავაზებია.

# ჯერ ქამარი, მერე ღლაბუცი

გასულ უქმეებზე უკრაინელი მძიმეწონოსანი ვლადიმირ კლიჩკო მის სამხრეთაფრიკელ მოცილეს ფრანს ბოთას 12-რაუნდა შერკინების მერვე რაუნდში მოერია და მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციის (WBO) ტიტული შეინარჩუნა. კადრში ის მომენტი დაუფიქსირებიათ, როცა ხელ და ქამარაწეულ კლიჩკოს ღლაბუცა გამომეტყველება მიუღია და თავი უკან გადაუგდია.



REUTERS

# სპორტკაცებს დააბირჟავებინეს

ნიუ იორკში დიდსასპორტო ღონისძიებაზე ჩასულ სახელოვან სპორტკაცებს (მარჯვნიდან მარცხნივ) — ბობი ჩარლტონს, ბორის ბეკერს, ემერსონ ფიტიპალდის, ედვინ მოზესსა და მაიკლ ჯონსონს იქაური ბირჟის მახვშთაგან მიპატიჟება მიუღიათ, ეგებ პირველ ზარზე დაგვესწროთ და ბირჟავიკები შეგვიგულიანოთო. სპორტკაცები დაჰყაბულებულან და ამ ფოტოზეც სწორედ იმ მომენტს ხედავთ, ბირჟისმამა რიჩარდ გრასოსა და „მერსედეს-ბენცის" აშშ-ში უმთავრეს აღმასრულებელ პოლ ჰალატასთან ერთად ვაჭრობის დაწყებას რომ ესალმებიან.




REUTERS

# წინაპრის ნაკვალევზე ამავალნი

შვეიცარიელ ალპინისტებს მათი დიადი წინამორბედის, რემონ ლამბერის პატივსაცემად ევერესტის დაპყრობა განუზრახავთ. ლამბერი პირველი შვეიცარიელი ყოფილა, ვინაც დედამიწის ამ თხემზე მშობლიური წითელ-თეთრი დროშის აღმართვას ცდილა. ეგ ამბავი 1952 წელს მომხდარა და, თუმცა მთლად წარმატებულად ვერ დასრულებულა, ალპელთ დასტურ დიდ მოვლენად მიაჩნიათ. მათი ასვლა იმ მცდელობის 50-წლისთავს ეძღვნება და მასში ცხონებული რემონის ვაჟი (ექვსეულში ყველაზე მარცხნით მდგომი) ივიც მონაწილეობს. მამის ნაკვალევზე სამოძრაოდ ივს ჩაუქი მთამსვლელები — (მარცხნიდან მარჯვნივ) ტაში ტერცინგი, ჟან ტრუალე, ფილიპ არივი, შტეფან შაფერი, აპა შერპა და გილომ ვალო დაეხმარებიან. ფოტო ამათ გუშინ, ასვლის წინადღეს, ნეპალის მთავარქალაქ კატმანდუში გადაუღიათ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბიჭებო!




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge